პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КОМПАРТИИ ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 265 (9425) | პარასკევი, 7 ნოემბერი, 1952 წ. | ფასი 20 კაპ.

## გაუმარჯოს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 35-ე წლისთავს! ლენინის დროშით, სტალინის წინამძღოლობით — წინ, კომუნიზმის გამარჯვებისაკენ!



იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი



სსრ კავშირის სამხედრო მინისტრი
საბჭოთა კავშირის მარშალი ა. ვასილევსკი



სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო მინისტრი
ვიცე-ადმირალი ნ. კუზნეცოვი

მოსკოვი, კრემლი

## ამხანაგ იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს

ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ!

თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს საზეიმო სხდომა პარტიული, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და ჯარის ნაწილების წარმომადგენლებთან ერთად, მიძღვნილი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 35-ე წლისთავისადმი, მგზნებარე, გულითად სალამს გიძღვნით თქვენ, ხალხთა ბრძენ მასწავლებელსა და ბელადს, კომუნიზმის გენიალურ ხუროთმოძღვარს, მთელ მსოფლიოში მშვიდობის მედროშეს.

საბჭოთა კავშირის ხალხები დიდი ოქტომბრის 35-ე წლისთავს აღნიშნავენ მასების უმაგალითო პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში, რაც გამოწვეულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით, თქვენი, ძვირფასო ამხანაგო სტალინ, ბრძნული სიტყვით ყრილობის დასკვნით სხდომაზე და თქვენი გენიალური ნაწარმოებით „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“, რომლებშიც მითითებულია ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის გზები და მოცემულია ხალხთა ნათელი მომავლისათვის ბრძოლისა და გამარჯვებების დიადი პროგრამა.

მსოფლიო-ისტორიული გამარჯვებებით აღნიშნული სახელოვანი საბრძოლო გზა განვლო ჩვენმა საბჭოთა სამშობლომ ლენინ—სტალინის პარტიის ნაცადი ხელმძღვანელობით იმ დაუვიწყარი დღიდან, როცა თქვენ, ძვირფასო ამხანაგო სტალინ, დიდ ლენინთან ერთად აღმართეთ ოქტომბრის ყოვლისშძლე დროშა. ამ დროშის ქვეშ დარაზმულმა, მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი იდეებით აღფრთოვანებულმა საბჭოთა ხალხმა ლენინ—სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით ააშენა მძლავრი სოციალისტური სახელმწიფო, რომელიც თავისი არსებობის პირველი დღეებიდანვე გახდა მსოფლიო რევოლუციური და მუშათა მოძრაობის „დამკვრელი ბრიგადა“.

დღეს ჩვენი ქვეყანა სათავეში უდგას მთელი მსოფლიოს მშვიდობის მომხრეთა მძლავრ მოძრაობას, მიუძღვის დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის მებრძოლთა, ომის ინგლისელ-ამერიკელი გამჩაღებლების — კაცობრიობის ამ უბოროტესი მტრების წინააღმდეგ მებრძოლთა მრავალმილიონიან არმიას.

ჩვენი მძლავრი სამშობლოს ხალხები, რომლებსაც აღაფრთოვანებს პარტიის XIX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებანი და ყრილობაზე წარმოთქმული თქვენი ბრძნული სიტყვა, თავდადებულად იბრძვიან მეხუთე ხუთწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებისათვის.

საბჭოთა ხალხი ოქტომბრის 35-ე წლისთავს ეგებება ახალი დიდი წარმატებებით კომუნისტურ მშენებლობაში, რომლებსაც მან ლენინ—სტალინის დიადი პარტიის ხელმძღვანელობით მიაღწია. 1952 წელი აღინიშნა მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მძლავრი აღმავლობით, სოციალისტური კულტურის ახალი აყვავებით. საბჭოთა ადამიანები მტკიცე რწმენით შეჰყურებენ მომავალს — მათი გზა გაშუქებულია ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის აშენების თქვენ მიერ დასახული გენიალური, დიდებული პროგრამით.

ყველა თავის გამარჯვებას საბჭოთა ხალხი გიმადლით თქვენ, ჩვენო საყვარელო ბელადო და მასწავლებელო. თქვენი გენიალური ხელმძღვანელობით ჩვენი ქვეყნის მშრომელები დაუცხრომლად განამტკიცებენ საბჭოთა სახელმწიფოს — მთელ მსოფლიოში მშვიდობის ბურჯის, მთელი პროგრესული კაცობრიობის იმედის ძლიერებას.

თქვენი ძვირფასი სახელი, მშობლიურო ამხანაგო სტალინ, დიდი ბელადის, კომუნიზმის ყველა გამარჯვების სულისჩამდგმელისა და ორგანიზატორის სახელი ყველაზე საყვარელი სახელია მთელი მსოფლიოს მშრომელთათვის. თქვენი სახელი აღაფრთოვანებს მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ყველა მებრძოლს.

კომუნისტური მშენებლობის დიად საქმეში, მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად, თავიანთი წვლილი შეაქვთ საბჭოთა საქართველოს მშრომელებს.

წელს მიღწეულია ახალი წარმატებები მეტალურგიის, მანქანათმშენებლობის, ჩარხმშენებლობის, მსუბუქი, კვების მრეწველობის, აგრეთვე ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობის სხვა დარგების განვითარებაში.

გააჩაღა რა სოციალისტური შეჯიბრება პარტიის XIX ყრილობის აღსანიშნავად, დიდი ოქტომბრის 35-ე წლისთავის აღსანიშნავად, თბილისისა და მთელი რესპუბლიკის ბევრმა საწარმომ მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულა თავისი წლიური გეგმა.

ასრულებენ რა თქვენს მითითებებს, ძვირფასო ამხანაგო სტალინ, საქართველოს მშრომელები თავდადებით იბრძვიან შრომის ნაყოფიერების შემდგომი აღმავლობისათვის, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისა და მისი თვითღირებულების შემცირებისათვის, ნედლეულის, მასალებისა და ელექტროენერგიის დაზოგვისათვის.

მიმდინარე წელი ახალი წარმატებებით აღინიშნა სოფლის მეურნეობაში. ბევრად გადიდდა მარცვლეული კულტურების სათესი ფართობი. კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები, მანქანა-ტრაქტორთა სადგურები წარმატებით წყვეტენ თქვენ მიერ დასახულ ამოცანას — უზრუნველყოფილ იქნას საქართველო საკუთარი წარმოების მარცვლეულით.

მიმდინარე წელი ახალი მიღწევებით აღინიშნა ქართული ლიტერატურის, მეცნიერებისა და ხელოვნების განვითარების დარგშიც.

მაგრამ ჩვენ მტკიცედ გვახსოვს თქვენი, ძვირფასო ამხანაგო სტალინ, მითითება იმის შესახებ, რომ არ შეიძლება გული დავიმშვიდოთ მიღწეულით, რომ საჭიროა ყოველდღიურად ვამრავლოთ წარმატებანი კომუნისტური მშენებლობის ყველა უბანზე. თქვენ გვასწავლით, რომ გაშლილი კრიტიკისა და თვითკრიტიკის საფუძველზე მტკიცედ გამოვამჟღავნოთ ნაკლოვანებანი, ბოლომდე დავძლიოთ ისინი, ვაწარმოოთ შეურიგებელი ბრძოლა პარადული კეთილდღეობის, თვითდამშვიდებისა და მუშაობის წარმატებებით დატკბობის წინააღმდეგ.

პირობას გაძლევთ, ძვირფასო ამხანაგო სტალინ, რომ თბილისის და მთელი საქართველოს მშრომელები თავდადებით იბრძოლებენ პარტიის XIX ყრილობის გადაწყვეტილებების, თქვენი ბრძნული მითითებების შესრულებისათვის. არ დავიშურებთ ძალასა და ენერგიას იმისათვის, რომ მივაღწიოთ ახალ შრომითს გამარჯვებებს, მივაღწიოთ საყვარელი სამშობლოს შემდგომ აყვავებას, მთელ მსოფლიოში მშვიდობის საქმის განმტკიცებას; დაუღალავად ვიბრძოლებთ კომუნიზმის სრული გამარჯვებისათვის.

სულით და გულით გისურვებთ, ჩვენო ძვირფასო, საყვარელო ბელადო და მასწავლებელო, ჯანმრთელობას და მრავალი წლის სიცოცხლეს ჩვენი დიადი სამშობლოს საკეთილდღეოდ, საბჭოთა ხალხის საბედნიეროდ, მთელი მშრომელი კაცობრიობის სასიხარულოდ.

გაუმარჯოს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 35-ე წლისთავს!

გაუმარჯოს დიად საბჭოთა კავშირს, ჩვენი ქვეყნის ხალხების მეგობრობისა და დიდების მტკიცე დასაყრდენს, მთელ მსოფლიოში მშვიდობის ურყევ ბურჯს!

გაუმარჯოს ლენინ—სტალინის დიად პარტიას — ყველა ჩვენი გამარჯვების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს!

დიდება მთელი მსოფლიოს მშრომელთა ბრძენ ბელადსა და მასწავლებელს, კომუნიზმის გენიალურ ხუროთმოძღვარს, ჩვენს მშობლიურ და საყვარელ ამხანაგ სტალინს!

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა
### სსრ კავშირის სამხედრო მინისტრისა

1952 წლის 7 ნოემბერი | № 118 | ქალაქი მოსკოვი

ამხანაგო ჯარისკაცებო და სერჟანტებო!

ამხანაგო ოფიცრებო და გენერლებო!

დღეს საბჭოთა ხალხი და მისი არმია დღესასწაულობენ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 35-ე წლისთავს.

ოცდათხუთმეტი წლის წინათ ჩვენი ქვეყნის მშრომელებმა ლენინ—სტალინის დიადი პარტიის ხელმძღვანელობით დაამხეს მემამულეებისა და კაპიტალისტების ბატონობა და დაამყარეს საბჭოთა ხელისუფლება. განვლილი წლების მანძილზე საბჭოთა ხალხმა ააშენა სოციალიზმი, გადააქცია თავისი სამშობლო მძლავრ სახელმწიფოდ და მტრებთან სასტიკ ბრძოლებში დაიცვა მისი თავისუფლება და დამოუკიდებლობა.

ჩვენი ქვეყანა წელს დიდი ოქტომბრის დღესასწაულს აღნიშნავს ახალი შესანიშნავი წარმატებებით სახალხო მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგის განვითარებაში. კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებითა და თავისი დიდი ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ სტალინის ბრძნული მითითებებით შთაგონებული საბჭოთა ხალხი თავის ენერგიასა და ძალებს ახმარს სტალინური ხუთწლიანი გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებას და მტკიცე რწმენით მიდის წინ კომუნიზმის გზით.

ასრულებს რა კომუნისტური მშენებლობის დიად გეგმას, საბჭოთა მთავრობა მტკიცედ და თანმიმდევრულად ახორციელებს ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობის პოლიტიკას.

საბჭოთა კავშირის ამ მშვიდობისმოყვარულ პოლიტიკას, რომელსაც მხარს უჭერს ყველა სახალხო-დემოკრატიული ქვეყანა, უპირისპირდება აგრესიული პოლიტიკა ამერიკელ-ინგლისელი იმპერიალისტებისა, რომლებიც ახალ მსოფლიო ომს ამზადებენ.

საბჭოთა ხალხი ფხიზლად ადევნებს თვალყურს ომის გამჩაღებელთა ხრიკებს, განუწყვეტლივ განამტკიცებს საბჭოთა სახელმწიფოს თავდაცვითს ძლიერებას და აძლიერებს ჩვენი ქვეყნის მზადყოფნას, რათა გამანადგურებელი წინააღმდეგობა გაუწიოს ყოველ აგრესორს.

ამხანაგო ჯარისკაცებო, სერჟანტებო, ოფიცრებო და გენერლებო!

მოგესალმებით და მოგილოცავთ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 35-ე წლისთავს! გისურვებთ შემდგომ წარმატებებს სამსახურსა და სწავლაში. ბეჯითად გაიუმჯობესეთ სამხედრო და პოლიტიკური ცოდნა, დაეუფლეთ ახალ საბრძოლო ტექნიკასა და საჭურველს. ზუსტად დაიცავით წესდება და ურღვევი მხედრული დისციპლინა, მუდამ იყავით ფხიზლად, ყველა ღონისძიებით გააძლიერეთ ჯარების საბრძოლო მზადყოფნა.

საყოველთაო-სახალხო დღესასწაულის აღსანიშნავად **ვბრძანებ:**

დღეს, 7 ნოემბერს, ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვში, მოკავშირე რესპუბლიკების დედაქალაქებში, აგრეთვე კალინინგრადში, ლვოვში, ხაბაროვსკში, ვლადივოსტოკსა და გმირ ქალაქებში: ლენინგრადში, სტალინგრადში, სევასტოპოლსა და ოდესაში მიცემულ იქნას სალუტი ოცი საარტილერიო ზალპით.

გაუმარჯოს ჩვენს ძლიერ სამშობლოს!

გაუმარჯოს დიდ საბჭოთა ხალხსა და მის არმიას!

გაუმარჯოს საბჭოთა მთავრობას!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას — ყველა ჩვენი გამარჯვების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს!

დიდება ჩვენს მშობლიურ ბელადს, მასწავლებელსა და მხედართმთავარს — დიდ სტალინს!

სსრ კავშირის სამხედრო მინისტრი
საბჭოთა კავშირის მარშალი ა. ვასილევსკი

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა
### სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო მინისტრისა

1952 წლის 7 ნოემბერი | № 145 | ქალაქი მოსკოვი

ამხანაგო მატროსებო და ჯარისკაცებო, ზემდეგებო და სერჟანტებო!

ამხანაგო ოფიცრებო, ადმირალებო და გენერლებო!

დღეს საბჭოთა კავშირის სამხედრო-საზღვაო ძალები მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად დღესასწაულობენ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 35-ე წლისთავს.

ჩვენი ქვეყნის მშრომელები დიდი ოქტომბრის სახელოვან წლისთავს ეგებებიან შესანიშნავი წარმატებებით სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა დარგში. პარტიის XIX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით შეიარაღებული, სოციალიზმიდან კომუნიზმში გადასვლის გზების შესახებ ამხანაგ სტალინის მოძღვრებით შთაგონებული საბჭოთა ადამიანები მტკიცე რწმენით მიდიან თავიანთი დიადი მიზნისაკენ — ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების აშენებისაკენ.

ჩვენი ქვეყნის ხალხები მთელ თავიანთ მიღწევებს უნდა უმადლოდნენ მშობლიურ კომუნისტურ პარტიას, თავიანთ ბრძენ ბელადსა და მასწავლებელს ამხანაგ სტალინს.

ომის ამერიკელ-ინგლისელი გამჩაღებლები ახალ მსოფლიო ომს ამზადებენ.

ომის გამჩაღებლებს უპირისპირდება საბჭოთა სახელმწიფოს თანმიმდევრული და მტკიცე ბრძოლა ხალხთა შორის მშვიდობისა და თანამშრომლობისათვის.

ასრულებენ რა პარტიის, მთავრობისა და პირადად ამხანაგ სტალინის მითითებებს, საბჭოთა სამხედრო მეზღვაურები დგანან სოციალისტური სამშობლოს საზღვაო საზღვრებისა და სახელმწიფო ინტერესების სადარაჯოზე და საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების ახალი წარმატებებით ეგებებიან დიდი ოქტომბრის წლისთავს.

სამხედრო-საზღვაო ძალების პირადი შემადგენლობის ამოცანები ახლა ის არის, რომ განუწყვეტლივ გააძლიერონ ხომალდებისა და ნაწილების საბრძოლო მზადყოფნა, ბეჯითად დაეუფლონ თანამედროვე საბრძოლო ტექნიკას, გამოიწრთონ საზღვაო ლაშქრობაში, ამრავლონ საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების ფრიადოსანთა რიგები, კიდევ უფრო აამაღლონ თავიანთი რიგების საზღვაო კულტურა, სიფხიზლე, დისციპლინა და ორგანიზებულობა.

ამხანაგო მატროსებო და ჯარისკაცებო, ზემდეგებო და სერჟანტებო!

ამხანაგო ოფიცრებო, ადმირალებო და გენერლებო!

მოგესალმებით და მოგილოცავთ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 35-ე წლისთავს!

გისურვებთ ახალ წარმატებებს საბრძოლო და პოლიტიკურ მომზადებაში.

გაუმარჯოს გმირ საბჭოთა ხალხს და მის სამხედრო-საზღვაო ფლოტს!

გაუმარჯოს ჩვენს მშობლიურ საბჭოთა მთავრობას!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას — ყველა ჩვენი გამარჯვების ორგანიზატორსა და სულისჩამდგმელს!

დიდება ჩვენს საყვარელ ბელადს, მასწავლებელსა და მხედართმთავარს ამხანაგ სტალინს!

სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო მინისტრი
ვიცე-ადმირალი ნ. კუზნეცოვი

# დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 35-ე წლისთავი

## ამხ. მ. გ. პერვუხინის მოხსენება მოსკოვის საბჭოს საზეიმო სხდომაზე 1952 წლის 6 ნოემბერს

ამხანაგებო!

ოცდათხუთმეტმა წელმა განვლო მას შემდეგ, რაც პროლეტარიატის უდიდესი ბელადების ლენინისა და სტალინის გენიალური ხელმძღვანელობით ჩვენს ქვეყანაში გაიმარჯვა დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ. ამ მსოფლიო-ისტორიულმა მოვლენამ განსაზღვრა ძირეული გარდატეხა მთელი თანამედროვე საზოგადოების განვითარებაში. დამთავრდა კაპიტალიზმის განუყოფელი ბატონობის ხანა. დაიწყო პროლეტარულ რევოლუციათა და სოციალიზმის გამარჯვებათა ეპოქა.

საბჭოთა კავშირის ხალხები საბჭოთა სახელმწიფოს არსებობის 35-ე წლისთავს დღესასწაულობენ ახალი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში, რაც გამოწვეულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით.

მეცხრამეტე ყრილობამ მთელ მსოფლიოს თვალნათლივ დაანახვა, თუ რა უმაგალითო წარმატებანი მოიპოვა საბჭოთა ხალხმა თავისი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მოკლე ისტორიულ ვადაში. მოიშორეს რა კაპიტალის უღელი, საბჭოთა ადამიანებმა კაცობრიობის ისტორიაში პირველად ააშენეს სოციალისტური საზოგადოება და შევიდნენ სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობითი გადასვლის პერიოდში. საბჭოთა კავშირი მშვიდობის, პროგრესის, დემოკრატიის ურყევი ბურჯი გახდა.

პარტიის მეცხრამეტე ყრილობა საბჭოთა ხალხის ბრძოლის ისტორიაში შევა, როგორც უმნიშვნელოვანესი ნიშანსვეტი ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის დიად გზაზე. ყრილობის გადაწყვეტილებანი კონკრეტული განსახიერებაა მარქსიზმ-ლენინიზმის ძლევამოსილი თეორიისა, რომელიც ყრილობის წინ გამდიდრდა ჩვენი ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ სტალინის ახალი კლასიკური შრომით. (ტაში).

შრომაში „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში" ამხანაგი სტალინი იძლევა ჩვენი ბრძოლისა და გამარჯვებების შედეგების, თანამედროვეობის ძირითადი პრობლემების ღრმა ანალიზს და სახავს შემდგომი წინსვლის ნათელ პროგრამას. ჩვენი დიდი ბელადისა და მასწავლებლის ახალ მარქსისტულ შრომას უდიდესი საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს. ეს შრომა იდეურად აიარაღებს მსოფლიო კომუნისტურ მოძრაობას და ახალ საფეხურზე აჰყავს იგი. ეს შრომა გვიჩვენებს საბჭოთა ადამიანების მიერ მოპოვებულ მსოფლიო-ისტორიულ გამარჯვებათა მამოძრავებელ ძალებს, უჩვენებს ყველა ქვეყნის მშრომელებს, თუ როგორ გარდავქმენით ჩვენი ქვეყნის ეკონომიკა სოციალიზმის საფუძველზე, როგორ მივაღწიეთ მუშათა კლასისა და გლეხობის მეგობრობას, როგორ გადავაქციეთ ჩვენი სამშობლო მდიდარ და ძლიერ ქვეყნად.

ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვება, ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური საზოგადოების აშენება, — აღნიშნავს ამხანაგი სტალინი, — შესაძლებელი გახდა იმის მეოხებით, რომ იქ აღმოჩნდა ისეთი საზოგადოებრივი ძალა მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის სახით, რომელმაც გადალახა კაპიტალისტური საზოგადოების დრომოჭმული ძალების წინააღმდეგობა და სრული გასაქანი მისცა საწარმოო ძალების ხასიათისადმი საწარმოო ურთიერთობის აუცილებელი შესაბამისობის ობიექტურად მოქმედ ეკონომიკურ კანონს.

ამ ობიექტურ ეკონომიკურ კანონზე დაყრდნობით საბჭოთა ხელისუფლებამ განასაზოგადოვა წარმოების საშუალებანი, მთელი ხალხის საკუთრება გახადა ისინი და ამით მოსპო ექსპლოატაციის სისტემა, შექმნა მეურნეობის სოციალისტური ფორმები.

ჩვენი ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის პოლიტიკამ ის გამოიწვია, რომ სტალინური ხუთწლედების ომისწინა წლებში ჩვენმა ქვეყანამ გიგანტური ნახტომი გააკეთა წინ. იგი ტექნიკურად და ეკონომიკურად ჩამორჩენილი აგრარული ქვეყნიდან გადაიქცა მოწინავე, მძლავრ, ინდუსტრიულ სოციალისტურ სახელმწიფოდ.

სამნახევარი ათეული წლის მთელ მანძილზე დადასტურდა და დამტკიცდა საბჭოთა საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების უძლეველი სასიცოცხლო ძალა. ჩვენმა ქვეყანამ არათუ ღირსეულად გაუძლო დიდი სამამულო ომის მძიმე განსაცდელს, არამედ აგრეთვე იხსნა მსოფლიო ფაშისტური მონობის საფრთხისაგან, როცა ჰიტლერული არმია გაანადგურა. ომის შემდეგ მოკლე ვადაში საბჭოთა ადამიანებმა აღადგინეს დანგრეული მრეწველობა, ტრანსპორტი, სოფლის მეურნეობა და უზრუნველყვეს ომამდელი დონის მნიშვნელოვანი გადაჭარბება სახალხო მეურნეობის ყველა დარგში.

საბჭოთა ადამიანებმა უდიდესი სიხარულით მიიღეს კომუნისტური მშენებლობის პროგრამა, რომელიც პარტიის XIX ყრილობამ დაამტკიცა. ისინი მტკიცედ არიან დარწმუნებულნი, რომ ეს დიდებული პროგრამა განხორციელდება.

კომუნიზმის გზით ჩვენი ძლევამოსილი წინსვლა დღითიდღე სულ უფრო განამტკიცებს დემოკრატიისა და სოციალიზმის ბანაკის ძალებს, საერთაშორისო ავტორიტეტს, აღაფრთოვანებს ყველა ქვეყნის მშრომელებს იმპერიალიზმის წინააღმდეგ მათს რევოლუციურ ბრძოლაში.

ამ დღეებში ასეულ მილიონობით ადამიანი თვალს აპყრობს საბჭოთა კავშირს, რომელიც მსოფლიოში აღმართულია როგორც გიგანტური შუქურა, რომელიც კაცობრიობას უნათებს ბრწყინვალე მომავლის გზას. ჩვენთან ერთად ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 35-ე წლისთავს დღესასწაულობენ ყველა ქვეყნის მოწინავე ადამიანები, დღესასწაულობს დემოკრატიისა და სოციალიზმის მძლავრი ბანაკი.

## I. სსრ კავშირის საშინაო მდგომარეობა

1952 წელს საბჭოთა ხალხმა ახალი წარმატებანი მოიპოვა სოციალისტური ეკონომიკისა და კულტურის ყველა დარგში.

ხელმძღვანელობენ რა სოციალიზმის იმ ძირითადი ეკონომიკური კანონის მოთხოვნებით, რომელიც ამხანაგმა სტალინმა აღმოაჩინა, კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას წარმართავენ მეურნეობის ყველა დარგის განუხრელი აღმავლობის გზით, რაც უზრუნველყოფს ხალხის კეთილდღეობის განუწყვეტელ გაუმჯობესებას. ამის თვალსაჩინო მაგალითია პარტიის XIX ყრილობის დირექტივები სსრ კავშირის განვითარების ხუთწლიანი გეგმის შესახებ.

ახალი ხუთწლიანი გეგმის განხორციელების შედეგად, უახლოესი სამი ხუთწლედისათვის ჩვენი სახალხო მეურნეობის აღმავლობის ისტორიული პროგრამა, რომელიც ამხანაგმა სტალინმა დასახა 1946 წლის 9 თებერვალს ამომრჩეველთა წინაშე წარმოთქმულ სიტყვაში, უთუოდ ვადაზე შესრულდება, ხოლო ნავთის ამოღებისა — ვადამდეც კი, უკვე ამ ხუთწლედში.

მთელ ჩვენს ქვეყანაში ფართოდ გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება მეხუთე სტალინური ხუთწლიანი გეგმის რაც შეიძლება მალე განხორციელებისათვის.

ამ შეჯიბრების მსვლელობაში ვლინდება ათასობითა და ათასობით ახალი ნიჭიერი მოწინავე, ვლინდება უდიდესი რეზერვები შრომის ნაყოფიერების შემდგომი აღმავლობისათვის, იქმნება შეჯიბრების ახალი ფორმები.

მეტალურგიულ მრეწველობაში სულ უფრო ფართოდ იყენებენ ლითონის ჩქაროსნულ დნობას, ქვანახშირის მრეწველობაში ინერგება ლავებისა და სანგრევების ციკლური მუშაობა, ფართოდ იყენებენ ქვანახშირის კომბაინებს და ქანებსატვირთავ მანქანებს, ნავთის მრეწველობაში — ღრმა ჭაბურღილების ჩქაროსნულ ბურღვას, მანქანათმშენებელ მრეწველობაში — ლითონის ჩქაროსნული ჭრის მეთოდებს, ქიმიურ მრეწველობაში წარმოების განუწყვეტელ და მაღალეფექტიან პროცესებს.

მოწინავე ტექნიკის, შრომის ორგანიზაციის მოწინავე მეთოდების გამოყენება, მუშათა კვალიფიკაციის ამაღლება და მძიმე და შრომატევად სამუშაოთა შემდგომი მექანიზაცია უზრუნველყოფს შრომის ნაყოფიერების განუწყვეტელ ზრდას სახალხო მეურნეობის ყველა დარგში. 1952 წელს შრომის ნაყოფიერება მრეწველობაში 1950 წელთან შედარებით 17 და მეტი პროცენტით დიდდება, ხოლო 1955 წელს იგი დაახლოებით 50 პროცენტით უნდა გადიდდეს.

საბჭოთა კავშირში, როგორც ამხანაგი სტალინი აღნიშნავს, მანქანები შრომას უზოგავენ საზოგადოებას და ამსუბუქებენ მუშათა შრომას.

მძიმე და შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციამ, წარმოების პროცესების ავტომატიზაციამ ის გამოიწვია, რომ მნიშვნელოვნად შემსუბუქდა მუშათა შრომა მრეწველობაში, ტრანსპორტზე და სოფლის მეურნეობაში. გაქრა მუშათა ისეთი მძიმე და ახლო წარსულის მასობრივი პროფესიები, როგორიც იყო მემარხილეები და ხელით მყელავები ქვანახშირის მრეწველობაში, მგლინავი მუშები შავ მეტალურგიაში, ამომკავრელები და მეჟელონეები ნავთის მრეწველობაში. ამავე დროს გაჩნდა ახალი პროფესიები, სახელდობრ: ქვანახშირის კომბაინების მემანქანეები, ნავთის ამოღებისა და გადამუშავების ოპერატორები, ტურბინული ბურღვის მბურღავები, ელექტრომხერხავები სატყეო მრეწველობაში, ქვაბების მემანქანეები ელექტროსადგურებში და ბევრი სხვა.

ახალ სპეციალობებს დაუფლებულ მუშათა მნიშვნელოვან ნაწილს აქვს საშუალო განათლება და დიდი ტექნიკური ცოდნა. ისინი განასახიერებენ გონებრივსა და ფიზიკურ შრომას შორის არსებითი განსხვავების გაქრობის პროცესს.

სოციალისტური მრეწველობის მუშაობის დიდმნიშვნელოვანი მაჩვენებელია პროდუქციის თვითღირებულების შემცირება. შარშან სამრეწველო პროდუქციის თვითღირებულების შემცირებით მიღებულმა ეკონომიამ, ფასების შემცირებით მიღებული ეკონომიის მხედველობაში მიღებით, შეადგინა 35,5 მილიარდი მანეთი. 1952 წელს იგი შეადგენს 46 მილიარდ მანეთზე მეტს.

მთლიანად მრეწველობაში წარმოების გეგმა 1952 წლის 10 თვეში შესრულებულია 101 პროცენტით და მეტით. ამასთან მრეწველობის საერთო პროდუქციის მატების საშუალო წლიური ტემპი 1951 და 1952 წლებში შეადგენს 14 პროცენტს ნაცვლად ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებული 12 პროცენტისა.

სახალხო მეურნეობის ყველა დარგის განვითარების საფუძველია მძიმე მრეწველობა. დირექტივებში ხუთწლიანი გეგმის შესახებ წარმოების საშუალებათა წარმოების მატების საშუალო წლიური ტემპი გათვალისწინებულია 13 პროცენტის ოდენობით. ფაქტიურად კი ახალი ხუთწლედის ორ წელიწადში იგი შეადგენს 15 პროცენტს. ჩვენი მსხვილი მრეწველობა ამჟამად ყოველ ცხრა დღეში იმდენ პროდუქციას იძლევა რამდენიც რუსეთში მზადდებოდა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის წინ მთელი წლის მანძილზე.

საბჭოთა მეტალურგებმა 1952 წლის 10 თვეში მთელი მეტალურგიული ციკლის მიხედვით გეგმა შეასრულეს: თუჯისა — 103 პროცენტით, ფოლადისა — 101 პროცენტით, ნაგლინისა — 102 პროცენტით. მეხუთე ხუთწლედის ორ წელიწადში ფოლადი დამზადდება 2,4-ჯერ მეტი, ვიდრე მეოთხე ხუთწლედის პირველ ორ წელიწადში.

ქვანახშირის ამოღების გეგმა მიმდინარე წლის 10 თვეში შესრულებულია 101 პროცენტით. ამასთან 1952 წელს ქვანახშირი ამოღებულ იქნება 15 პროცენტით მეტი, ვიდრე 1950 წელს. საინტერესოა სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის განვითარება შევადაროთ, მაგალითად, ინგლისისას. თუ 1913 წელს ქვანახშირის ამოღება რუსეთში შეადგენდა ინგლისში ქვანახშირის ამოღების ერთ მეათედს, 1951 წელს სსრ კავშირში ქვანახშირის ამოღება 25 პროცენტით მეტი იყო, ვიდრე ინგლისში. ამ პერიოდში ქვანახშირის ამოღება ინგლისში შემცირდა 23 პროცენტით, ხოლო სსრ კავშირში გადიდდა თითქმის ერთიათად.

სწრაფი ტემპით იზრდება საბჭოთა კავშირის ნავთის მრეწველობა. ნავთის ამოღების გეგმა 1952 წლის 10 თვეში შესრულებულია 101 პროცენტით. ამასთან 1950 წელთან შედარებით ნავთის ამოღება გადიდდა 24 პროცენტით. გადაჭარბებით სრულდება აგრეთვე ნავთის გადამუშავების, ბენზინის, ზეთებისა და სხვა ნავთპროდუქტების გამოშვების გეგმა.

1952 წლის 10 თვის გეგმა შეასრულეს: ქიმიურმა მრეწველობამ, ფერადმა მეტალურგიამ და საშენ მასალათა მრეწველობამ.

სახალხო მეურნეობის ყველა დარგის განვითარების სწრაფი ტემპის და ტექნიკური პროგრესის საფუძველია საბჭოთა მანქანათმშენებლობის განუწყვეტელი ზრდა. მანქანათმშენებლობის საერთო პროდუქცია 1952 წელს ორმოცი პროცენტით და მეტით გაიზრდება 1950 წელთან შედარებით. ყველაზე სწრაფი ტემპით ვითარდება ენერგეტიკული, მეტალურგიული მოწყობილობისა და ნავთაპარატურის წარმოება.

ელექტროფიკაციის დარგში ხუთწლიანი გეგმა, როგორც ცნობილია, ითვალისწინებს ელექტროსადგურების სიმძლავრეთა და ელექტროენერგიის გამომუშავების მატების ისეთ სწრაფ ტემპს, რომ ელექტროფიკაციის განვითარება წინ უსწრებდეს სახალხო მეურნეობის ზრდის სწრაფ ტემპს. კომუნისტური საზოგადოების აშენებაში ელექტროფიკაციის მნიშვნელობა გენიალურად განსაზღვრა ვ. ი. ლენინმა თავის ცნობილ ფორმულაში **„კომუნიზმი არის საბჭოთა ხელისუფლება პლუს მთელი ქვეყნის ელექტროფიკაცია"**. განვლილი 35 წლის მანძილზე საბჭოთა ხალხმა განსაკუთრებით დიდი წარმატებანი მოიპოვა ქვეყნის ელექტროფიკაციის დარგში. უკანასკნელი წლების მანძილზე საბჭოთა კავშირში ყოველწლიურად მწყობრში დგება საშუალოდ ორჯერ მეტი ელექტროსიმძლავრეები, ვიდრე „გოელროს" გეგმით ამუშავდა ათი წლის განმავლობაში.

მიმდინარე წელს ელექტროენერგიის გამომუშავება გაიზრდება 1950 წელთან შედარებით 29 პროცენტით, ამასთან 1951-1952 წლებში საშუალო წლიური მატება შეადგენს 13,6 პროცენტს ნაცვლად ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებული 12,5 პროცენტისა.

საბჭოთა კავშირის ელექტროსადგურები ახლა მარტო ერთ თვეში იმდენ ელექტროენერგიას იძლევიან, რამდენსაც რევოლუციამდელი რუსეთის ელექტროსადგურები ხუთი წლის განმავლობაში იძლეოდნენ.

1952 წელს ჩქარი ტემპით იზრდება აგრეთვე მოხმარების საგნების წარმოება. ახალი ხუთწლედის პირველ ორ წელს მოხმარების საგნების წარმოების საშუალო წლიური მატება შეადგენს 13 პროცენტზე მეტს ხუთწლიანი გეგმის შესახებ დირექტივებით გათვალისწინებული 11 პროცენტის ნაცვლად.

წლითიწლობით იზრდება მსუბუქი და კვების მრეწველობა, რომელიც ადიდებს ფართო მოხმარების სამრეწველო საქონლისა და სასურსათო საქონლის გამოშვებას. კვების მრეწველობის პროდუქციის გამოშვება მეხუთე ხუთწლედის ორ წელიწადში გადიდდა 25 პროცენტით და მეტით, გაუმჯობესდა პროდუქციის ხარისხი და გაფართოვდა ასორტიმენტი.

მიმდინარე წელს მოსახლეობა გაცილებით მეტ სამრეწველო და სასურსათო საქონელს იღებს, ვიდრე 1950 წელს: ტანსაცმელს 27 პროცენტით მეტს, ტყავის ფეხსაცმელს — 32 პროცენტით, ხორცისა და თევზის პროდუქტებს — 31 პროცენტით, ერბო-კარაქს, მცენარეულ ზეთსა და სხვა საკვებ ცხიმეულს — 31 პროცენტით, შაქარს — 58 პროცენტით, საკონდიტრო ნაწარმს — 29 პროცენტით მეტს. გადიდდება აგრეთვე საოჯახო მოწყობილობისა და მანქანების: მაცივრების, სარეცხი მანქანების, მტვერსასრუტებისა და სხვ. გამოშვება.

აღვნიშნავთ რა იმ დიდ წარმატებებს, რომლებიც წელს მოიპოვა ჩვენმა სოციალისტურმა მრეწველობამ, არ შეიძლება დავივიწყოთ, რომ მრეწველობის ცალკე დარგებისა და საწარმოების მუშაობაში არის არსებითი ნაკლოვანებანი.

მრეწველობის ზოგიერთი დარგი მუშაობს არადამაკმაყოფილებლად, ვერ ასრულებს წარმოების დაწესებულ გეგმას და პროდუქციის თვითღირებულების შემცირების დავალებას. ჯერ კიდევ არის ისეთი საწარმოები, რომლებიც ვერ უზრუნველყოფენ კომპლექტური და მაღალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვებას, არღვევენ სახელმწიფო სტანდარტებს და ტექნიკურ პირობებს.

იმ საწარმოებისა და დარგების ხელმძღვანელები, რომლებიც ვერ ასრულებენ სახელმწიფო გეგმებს და მდარე ხარისხის პროდუქციას უშვებენ, ურიგო არ იქნება დაფიქრდნენ, რომ, თუ მდგომარეობას არ გამოასწორებენ, მოუხდებათ განზე გადგნენ და ადგილი დაუთმონ სხვებს, უფრო ენერგიულ და საქმის უკეთ მცოდნე მუშაკებს.

სოფლის მეურნეობის დარგში ახალი ხუთწლედის განვლილ ორ წელს მიღწეულია დიდი წარმატებანი. გადიდდა ნათესი ფართობები და განსაკუთრებით ყველაზე ძვირფასი სასურსათო კულტურის — ხორბლის ნათესები. როგორც ცნობილია, წელს მარცვლეულის საერთო მოსავალი შეადგენდა 8 მილიარდ ფუთს, ხოლო ხორბლის საერთო მოსავალი 1940 წელთან შედარებით 48 პროცენტით გადიდდა. ამრიგად, მარცვლეულის პრობლემა, რომელიც ყოველთვის ყველაზე მწვავე და სერიოზულ პრობლემად ითვლებოდა, ჩვენში გადაჭრილია წარმატებით, მტკიცედ და საბოლოოდ. გასულ წელთან შედარებით გადიდდა ბამბის, შაქრის ჭარხლის, სელის, მზესუმზირას და კარტოფილის მოსავალი.

მეცხოველეობის განვითარებაში მოპოვებულია ახალი წარმატებანი. ყველა სახეობის პირუტყვის საერთო სულადობა მეურნეობათა ყველა კატეგორიის მიხედვით 1950 წლის ივლისიდან 1952 წლის ივლისამდე 26,7 მილიონი სულით გადიდდა.

მთლიანად მეცხოველეობის საერთო და სასაქონლო პროდუქცია სსრ კავშირში ომამდელ დონეს აღემატება.

უფრო განმტკიცდა სოფლის მეურნეობის ტექნიკური ბაზა დიდძალი ახალი ტრაქტორის, ავტომობილებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების მიღებით. ამის შედეგად გაძლიერდა ძირითად სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მექანიზაცია. 1952 წელს მანქანა-ტრაქტორთა სადგურებმა თავიანთი სატრაქტორო და სამანქანო პარკით კოლმეურნეობებში ძირითადი მინდვრის სამუშაოების 3 მეოთხედი შეასრულეს. თითქმის მთლიანად მექანიზებულია ბამბის, შაქრის ჭარხლისა და სხვა ტექნიკური კულტურების თესვა. კოლმეურნეობებში მარცვლეული კულტურების ნათესების 70 პროცენტზე მეტი აღებულია კომბაინებით. წლითიწლობით დიდდება ბამბის აღება ბამბის ასაღები მანქანებით და ბამბის გაწმენდა მანქანებით.

სსრ კავშირის ევროპული ნაწილის ველიანი და ტყეველიანი რაიონების სოფლის მეურნეობის მუშაკები წარმატებით ასრულებენ მინდსაფარავი ტყის გაშენების სტალინურ გეგმას. მარტო უკანასკნელ 2 წელიწადში ახალი ნარგავების ფართობებმა ამ რაიონებში თითქმის 1,5 მილიონ ჰექტარს მიაღწია.

ჩვენი პარტიის XIX ყრილობამ სოფლის მეურნეობას დაუსახა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის შემდგომი გადიდებისა და მეცხოველეობის განვითარების ახალი გრანდიოზული ამოცანები.

ამ ამოცანების წარმატებით გადაჭრა უწინარეს ყოვლისა მოითხოვს, რომ აღმოიფხვრას კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი. საჭიროა გავაუმჯობესოთ მინდვრის სამუშაოების ხარისხი და შევამციროთ მათი შესრულების ვადები, გავაუმჯობესოთ ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების გამოყენება, გავაძლიეროთ მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მაორგანიზებელი როლი კოლმეურნეობებში, სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობისა და საერთო მოსავლის გეგმების შესრულებისათვის ბრძოლის საქმეში.

კოლმეურნეები, სოფლის მეურნეობის მუშაკები დიდი აღფრთოვანებით შეუდგნენ მეორე ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედის განხორციელებას. ამიტომ ეჭვი არ არის, რომ შესრულდება ახალი ხუთწლიანი გეგმის დავალებანი სოფლის მეურნეობის დარგში.

მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ზრდასთან ერთად იზრდება ჩვენი ქვეყნის რკინიგზისა და წყალთა ტრანსპორტი. 1950 წელთან შედარებით მიმდინარე წელს რკინიგზის ტრანსპორტის ტვირთბრუნვა გადიდდება 23 პროცენტით, სამდინარო ტრანსპორტის ტვირთზიდვა გადიდდება 21 პროცენტით, ხოლო საზღვაო ტრანსპორტისა — 22 პროცენტით. მნიშვნელოვნად გაფართოვდება რკინიგზის ტრანსპორტის ელექტროფიკაციის სამუშაოები. საზღვაო და სამდინარო ფლოტი შეივსება ახალი გემებით.

1952 წელს მწყობრში ჩადგა სტალინური ეპოქის გრანდიოზული ნაგებობა—ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის სახელობის ვოლგა-დონის სანაოსნო არხი.

სოციალისტური წარმოების ძირითადი მიზანია მთელი საზოგადოების მზარდ მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა მაქსიმალური დაკმაყოფილება. განუწყვეტლივ უმჯობესდება საბჭოთა ხალხის კეთილდღეობა და მაღლდება მისი კულტურული დონე. იზრდება მასა ფართო მოხმარების საქონლისა, რომელიც სავაჭრო ქსელს ეძლევა. 1952 წელს სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვის საერთო მოცულობა 1950 წელთან შედარებით გადიდდა 27 პროცენტით.

მიმდინარე წლის აპრილში განხორციელდა სასურსათო და სამრეწველო საქონლის სახელმწიფო ფასების ომისშემდგომი მეხუთე შემცირება. ამან უზრუნველყო მუშა-მოსამსახურეთა რეალური ხელფასის შემდგომი ზრდა და სამრეწველო საქონლის შესყიდვაზე გლეხთა ხარჯების ეკონომია.

მშრომელთა საბინაო პირობების შემდგომი გაუმჯობესების მიზნით ჩვენს ქვეყანაში წლითიწლობით ფართოვდება საბინაო მშენებლობა. 1951 წელს და 1952 წლის 10 თვეში ქალაქებსა და მუშათა დაბებში აშენდა დაახლოებით 43 მილიონი კვადრატული მეტრი საერთო ფართობის ახალი სახლები, რაც უდრის ერთ მილიონზე მეტ ოროთახიან ბინას. სოფლადგილებში აშენდა 620 ათასი საცხოვრებელი სახლი.

ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვში საბინაო მშენებლობის მოცულობა 1952 წელს თითქმის ერთიორად გადააჭარბებს ომამდელი 1940 წლის დონეს. დამთავრდა მაღალი სახლების, შესანიშნავ მონუმენტურ ნაგებობათა პირველი ჯგუფის მშენებლობა.

ჩვენი ქვეყნის მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის განუწყვეტელი გაუმჯობესების ობიექტური მაჩვენებელია სსრ კავშირის ნაციონალური შემოსავლის ზრდა. 1952 წელს ნაციონალური შემოსავალი 1950 წელთან შედარებით 25 პროცენტით გადიდდება. ნაციონალური შემოსავლის ზრდამ შესაძლებელი გახადა ამავე დროს მნიშვნელოვნად გადიდებულიყო მოსახლეობის შემოსავალი, აგრეთვე გადიდებულიყო სახსრები სახალხო მეურნეობაში კაპიტალური მშენებლობისათვის.

მიმდინარე ხუთწლედში გათვალისწინებულია მრეწველობაში კაპიტალდაბანდებათა ზრდა დაახლოებით ერთიორად, მეოთხე ხუთწლედთან შედარებით. აშენდება მრავალი ახალი და გაფართოვდება მოქმედი ქარხნები, ფაბრიკები, შახტები, მაღაროები, ელექტროსადგურები და რკინიგზები. სახელმწიფო კაპიტალური მშენებლობის მოცულობა 1952 წელს 26 პროცენტით გადააჭარბებს 1950 წლის მოცულობას.

განსაკუთრებული ადგილი უჭირავს გიგანტურ სტალინურ მშენებლობებს ვოლგაზე, დნეპრზე, დონსა და ამუ-დარიაზე. ამ მშენებლობებზე კაპიტალურ სამუშაოთა მოცულობა 1952 წელს ერთიორად გადიდდება 1951 წელთან შედარებით. მათი მშენებლობის გეგმა წარმატებით სრულდება.

უკანასკნელი წლების მანძილზე მშენებლობაში ფართოდ ხორციელდება ცალკეული პროცესების მექანიზაციიდან კომპლექსურ მექანიზაციაზე გადასვლა, ფართოდ ინერგება ჩქაროსნული და ნაკადური მშენებლობა.

მოწინავე ტექნიკის დანერგვის, მშენებელთა შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესებისა და კულტურულ-ტექნიკური დონის ამაღლების შედეგად შრომის ნაყოფიერება მშენებლობაში 1952 წელს 1950 წელთან შედარებით 20 პროცენტით გადიდდება.

მაგრამ სამშენებლო ორგანიზაციების მუშაობაში ჯერ კიდევ არის სერიოზული ნაკლოვანებანი. მთავარი ნაკლოვანებებია ახალი ობიექტების საექსპლოატაციოდ გადაცემის დაწესებული ვადების დარღვევა, მშენებლობის ღირებულების შემცირების დავალებათა შეუსრულებლობა. მშენებლობის ამ ნაკლოვანებათა წინააღმდეგ საჭიროა გადამჭრელი ბრძოლა.

უკანასკნელ წლებში საბჭოთა ხალხმა უდიდესი წარმატებანი მოიპოვა მეცნიერების, კულტურისა და ხელოვნების დარგში. საყოველთაო შვიდწლიანი სწავლების განხორციელებასთან ერთად ფართოვდება საშუალო განათლება ათწლიანი სწავლების საფუძველზე. ამან შესაძლებელი გახადა მიმდინარე ხუთწლედში დაგვესახა ამოცანა, რომ ხუთწლედის დამლევისათვის გადავიდეთ საყოველთაო საშუალო ათწლიან განათლებაზე რესპუბლიკის დედაქალაქებში, რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებში, საოლქო, სამხარეო და მსხვილ სამრეწველო ცენტრებში. საჭიროა მოვამზადოთ პირობები იმისათვის, რომ შემდეგ ხუთწლედში განვახორციელოთ სრული საყოველთაო საშუალო განათლება დანარჩენ ქალაქებსა და სოფელ ადგილებში. ამასთან ერთად საფუძვლიანად უნდა მოვამზადოთ საყოველთაო პოლიტექნიკურ სწავლებაზე გადასვლა.

უმაღლეს სასწავლებლებსა და ტექნიკუმებში მიღება 1952 წელს გაცილებით მეტი იყო, ვიდრე წინა წლებში. სსრ კავშირის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა რიცხვი ერთნახევარჯერ და უფრო მეტად აღემატება ევროპის ყველა კაპიტალისტური ქვეყნის სტუდენტთა რიცხვს. მეხუთე ხუთწლედის პირველ ორ წელიწადში ახალგაზრდა სპეციალისტების გამოშვებამ 65 პროცენტით გადააჭარბა მეოთხე ხუთწლედის პირველი ორი წლის გამოშვებას. კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის განუწყვეტელი ზრუნვის მეოხებით ჩვენს ქვეყანაში წლითიწლობით იზრდება სკოლების, ტექნიკუმებისა და უმაღლესი სასწავლებლების ქსელი.

უახლოეს დროში დამთავრდება მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი გრანდიოზული შენობის აგება, რომელიც შენდება ამხანაგ სტალინის ინიციატივით.

პარტია და მთავრობა დიდად ზრუნავენ საბჭოთა კავშირის მშრომელთა ჯანმრთელობისათვის. ჯანმრთელობის დაცვის ხარჯები 1952 წელს შეადგენს 27,7 მილიარდ მანეთს. იზრდება საავადმყოფოების, დისპანსერების, დასასვენებელი სახლებისა და სანატორიუმების რაოდენობა. წელს მნიშვნელოვნად გადიდდა მედიკამენტებისა და სხვადასხვა სამედიცინო მოწყობილობის გამოშვება. ხალხის სამედიცინო მომსახურებისა და კეთილდღეობის გაუმჯობესების შედეგად უკანასკნელ წლებში გადიდდა შობადობა და ბევრად შემცირდა დაავადება და სიკვდილიანობა ჩვენი ქვეყნის მოსახლეობაში.

საბჭოთა ხალხმა მეცნიერებისა და ტექნიკის დიდ პროგრესს მიაღწია. ამას დამაჯერებლად მოწმობს იმ ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა წარმატებით დაპროექტება და განხორციელება, რომელთა ბადალი არ მოიპოვება სიდიდითა და სირთულით, მაღალი სახლების მშენებლობა, ურთულესი მანქანებისა და მოწყობილობის დამუშავება და გამოშვება. ეს პროგრესი გაპირობებულია აგრეთვე იმით, რომ მეცნიერება ყოველდღიურად მდიდრდება მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მოწინავე ადამიანთა გამოცდილებით.

ამჟამად არ არის ისეთი მანქანა, აპარატი, ხელსაწყო თუ ტექნოლოგიური პროცესი, რომელიც ვერ შექმნან საბჭოთა სპეციალისტებმა და მუშებმა. უკანასკნელ წლებში სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტები მნიშვნელოვნად გაფართოებულია, აგებულია ახალი მშვენივრად მოწყობილი ლაბორატორიების კორპუსები. საბჭოთა მეცნიერებმა მრეწველობისაგან მიიღეს ზუსტი საზომი ხელსაწყოები, ლაბორატორიის უახლესი მოწყობილობა.

(გაგრძელება მე-3 გვერდზე)

# დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 35-ე წლისთავი

## ამხ. მ. გ. პერვუხინის მოხსენება მოსკოვის საბჭოს საზეიმო სხდომაზე 1952 წლის 6 ნოემბერს

(გ ა გ რ ძ ე ლ ე ბ ა)

ყოველივე ეს ემსახურება მეცნიერების სხვადასხვა დარგში და, კერძოდ, კაცობრიობის საკეთილდღეოდ ატომის ენერგიის გამოყენების დარგში თეორიული ცოდნის გაღრმავებას.

განვლილ 35 წელიწადში უდიდესი ცვლილებანი მოხდა მრავალეროვანი საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის ეკონომიკასა და კულტურაში. დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ ჩაგრული ეროვნებანი გაათავისუფლა პოლიტიკური, ეროვნული და ეკონომიკური ჩაგვრისაგან. ეკონომიკურად და კულტურულად ჩამორჩენილი ეროვნული რაიონები კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით აყვავებულ ინდუსტრიულ-საკოლმეურნეო სოციალისტურ რესპუბლიკებად გადაიქცნენ.

ძველი ბურჟუაზიული ერების ბაზაზე წარმოიშვნენ, განვითარდნენ და ჩამოყალიბდნენ ახალი, მოწინავე სოციალისტური ერები.

ლენინურ-სტალინურმა ეროვნულმა პოლიტიკამ უზრუნველყო სსრ კავშირის ხალხთა მეცნიერების, კულტურისა და ხელოვნების აყვავება. იზრდება სკოლების, უმაღლესი სასწავლებლების, სამეცნიერო დაწესებულებების, კლუბების, ბიბლიოთეკებისა და თეატრების ქსელი. მოკავშირე რესპუბლიკებში შეიქმნა ეროვნული მეცნიერებათა აკადემიები. გაიზარდნენ მრავალრიცხოვანი ეროვნული კადრები მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში, შეიქმნა ეროვნული ინტელიგენციის კადრები.

ახალ ხუთწლედში მოკავშირე რესპუბლიკათა სახალხო მეურნეობისა და კულტურის შემდგომი აღმავლობა კიდევ უფრო განამტკიცებს სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობას და ჩვენი საბჭოთა სამშობლოს ძლიერებას.

ახორციელებს რა მშვიდობიანი სოციალისტური მშენებლობის პროგრამას, ჩვენი ხალხი არასოდეს არ ივიწყებს საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებლების ლენინისა და სტალინის მითითებებს, რომ საჭიროა განვამტკიცოთ სოციალისტური სახელმწიფოს თავდაცვა, ყველა ღონისძიებით გავაძლიეროთ საბჭოთა არმია და სამხედრო-საზღვაო ფლოტი, მუდამ ვიყოლიოთ ისინი საბრძოლო მზადყოფნაში. საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალები სოციალისტური მრეწველობისაგან იღებენ ყველაზე თანამედროვე საჭურველსა და სამხედრო ტექნიკას.

მაგრამ ჩვენი არმია ძლიერია არა მარტო თავისი პირველხარისხოვანი ტექნიკური აღჭურვილობით. იგი ძლიერია თავისი უბადლო მორალურ-პოლიტიკური სულისკვეთებით, მებრძოლებისა და მეთაურების პატრიოტული შეგნებულობით, — ურღვევი კავშირით ხალხთან, რომელიც მას სიყვარულითა და მზრუნველობით მოსავს. საბჭოთა არმიისა და საზღვაო ფლოტის ყოველი მეომარი ამაყია იმის შეგნებით, რომ მოწოდებულია დაიცვას თავისი სოციალისტური სახელმწიფო, დაიცვას საბჭოთა ადამიანების მშვიდობიანი შრომა. ასეთი არმია, როგორც ისტორიის გამოცდილება ცხადყოფს, უძლეველია!

ომის ამერიკელმა გამჩაღებლებმა და მათმა ლაქიებმა არ უნდა დაივიწყონ ძალა საბჭოთა არმიისა, რომელიც მზად არის გამანადგურებელი წინააღმდეგობა გაუწიოს ყოველ აგრესორს, თუ იგი შეეცდება დაარღვიოს ჩვენი დიადი სამშობლოს საზღვრები.

ამხანაგებო! დიდია ჩვენი წარმატებანი სოციალისტური მშენებლობის ყველა დარგში. მაგრამ ლენინ — სტალინის პარტიის მიერ აღზრდილ საბჭოთა ადამიანებს არა სჩვევიათ დამშვიდება და ყოყოჩობა. მათ მიღწეული წარმატებანი მიაჩნიათ ახალი წარმატებებისათვის ბრძოლის საფეხურად.

პარტიის XIX ყრილობამ ხაზგასმით აღნიშნა თვითკრიტიკისა და ჩვენი მუშაობის ნაკლოვანებათა კრიტიკის შემდგომი გაბედული გაშლების განსაკუთრებული მნიშვნელობა.



ახორციელებენ რა ჩვენი პარტიის ისტორიული ყრილობის ამ მოთხოვნას, მთელი სიმტკიცით სპობენ რა კომუნისტური მშენებლობის სხვადასხვა უბანზე მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებს, საბჭოთა ადამიანები მიაღწევენ იმას, რომ მეხუთე ხუთწლედის დიადი პროგრამა მთლიანად და გადაჭარბებით შესრულდეს!

## II. საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკა და მშვიდობის განმტკიცება მთელ მსოფლიოში

საბჭოთა ხალხი თავდადებული, გმირული მუშაობით მთელი მსოფლიოს მშრომელებს ბრწყინვალე მომავლის გზას უკაფავს.

განვლილი ოცდათხუთმეტი წლის გამოცდილებამ სავსებით დაადასტურა ლენინისა და სტალინის ცნობილი დებულებანი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მსოფლიო-ისტორიული როლისა და მნიშვნელობის შესახებ. დიდ ბელადებს არაერთხელ აღუნიშნავთ, რომ ოქტომბრის რევოლუციის საერთაშორისო მნიშვნელობა ჩანს ყველა ქვეყანაზე მისი ზეგავლენის არა მარტო „ფართო“ აზრით, არამედ აგრეთვე უფრო „ვიწრო“ აზრითაც, მისი ძირითადი ნიშნებისა და განვითარების კანონზომიერებათა საერთაშორისო მასშტაბით განმეორების აზრით.

დიდი ლენინი ამბობდა: „ჩვენი გზა სწორია, რადგან ეს არის გზა, რომელსაც ადრე თუ გვიან აუცილებლად დაადგებიან დანარჩენი ქვეყნებიც“. ეს წინასწარმეტყველური სიტყვები სრულდება.

მეორე მსოფლიო ომში საბჭოთა ხალხის გმირული გამარჯვების შედეგად ქვეყნებმა, რომელთა მოსახლეობა 600 მილიონ კაცს აღემატება, კაპიტალიზმთან კავშირი გაწყვიტეს და საბჭოთა კავშირთან ერთად შექმნეს დემოკრატიისა და სოციალიზმის მძლავრი ბანაკი.

სახალხო დემოკრატიის ქვეყნებშიც 1952 წელი მიმდინარეობს სახალხო მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგის შემდგომი აღმავლობის ნიშნით.

1951 წელთან შედარებით, სამრეწველო წარმოების მოცულობა წელს გადიდდება: ჩეხოსლოვაკიაში, პოლონეთში, რუმინეთში, უნგრეთსა და ბულგარეთში 22-25 პროცენტით, ალბანეთში 80 და მეტი პროცენტით. ამასთან მსხვილი და საშუალო მრეწველობის საერთო პროდუქცია რამდენჯერმე გადააჭარბებს ომამდელ დონეს.

სწრაფი ტემპით ხორციელდება სახალხო დემოკრატიის ქვეყნების ელექტროფიკაცია. ელექტროენერგიის წარმოება 1952 წელს 1950 წელთან შედარებით გადიდდა: პოლონეთსა და ჩეხოსლოვაკიაში — 24-25 პროცენტით, უნგრეთსა და რუმინეთში — 38 პროცენტით, ბულგარეთში — 77 პროცენტით, ალბანეთში — ერთისამად და მეტად, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში — 22 პროცენტით. ამ ქვეყნების მეგობრობა და თანამშრომლობა, სხვათა შორის, იმითაც ჩანს, რომ წარმატებით ხდება ელექტროენერგიის გადაცემა რუმინეთიდან ბულგარეთში, პოლონეთიდან ჩეხოსლოვაკიაში, აგრეთვე ურთიერთგადაცემა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და პოლონეთს შორის.

სახალხო დემოკრატიის ქვეყნების სწრაფი ეკონომიკური აღმავლობა მნიშვნელოვანწილად გაპირობებულია იმ დიდი და ძმური დახმარებით, რასაც მათ საბჭოთა კავშირი უწევს. საბჭოთა სპეციალისტების მიერ დამუშავებული პროექტებით და სსრ კავშირის ქარხნებში დამზადებული მოწყობილობის ბაზაზე ევროპის სახალხო დემოკრატიის ქვეყნებსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში აშენდა და უკვე ამუშავდა დიდძალი ახალი ქარხანა და ელექტროსადგური.

იყენებენ რა საბჭოთა კავშირის დახმარებას, სახალხო დემოკრატიის ქვეყნები წარმატებით წყვეტენ სოფლის მეურნეობის აღმავლობისა და გარდაქმნის ამოცანას. ამ გარდაქმნის მნიშვნელოვანი ბერკეტია სახელმწიფო მანქანა-ტრაქტორთა სადგურები, რომლებიც შექმნილია სახალხო დემოკრატიის ყველა ქვეყანაში. სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში სულ უფრო ძლიერდება მშრომელი გლეხობის მისწრაფება კოოპერატივებში გაერთიანებისადმი, საწარმოო სასოფლო-სამეურნეო გაერთიანებათა შექმნისადმი.

საერთო ეკონომიკურ აღმავლობასთან ერთად ევროპის სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში სწრაფად უმჯობესდება მშრომელთა მატერიალური მდგომარეობა.

დიდი წარმატებანი მოიპოვა აგრეთვე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკამ მას შემდეგ განვლილი სამი წლის მანძილზე, რაც ჩინელმა ხალხმა თავისი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ბოლო მოუღო იმპერიალისტების და მათი დაქირავებული აგენტების — გომინდანელების ბატონობას და თავის ხელში აიღო ძალაუფლება.

სამრეწველო პროდუქციის მოცულობა 1951 წელს ერთიორად და უფრო მეტად გადიდდა 1949 წელთან შედარებით. ამასთან 1951 წლის დამლევს მრეწველობის ცალკეულ დარგებში მიღწეულია, ხოლო ზოგიერთი სახეობის პროდუქციის გამოშვებაში გადაჭარბებულია ომამდელი უმაღლესი დონე.

სოფლის მეურნეობაში უკვე იჩენს თავს ნაყოფიერი შედეგები მიწის დიდი რეფორმისა, რომელიც დამთავრდა ჩინეთის თითქმის მთელ ტერიტორიაზე. ახლა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას საკმარისი რაოდენობით მოჰყავს მარცვლეული და ბამბა თავისი მოსახლეობის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად და იმის შესაძლებლობაც კი აქვს, რომ სხვა ქვეყნებში გაიტანოს სოფლის მეურნეობის პროდუქტები.

სახალხო დემოკრატიის ყველა ქვეყნის სამეურნეო განვითარების შედეგები დამაჯერებლად მოწმობენ, რომ ეკონომიკური ბლოკადის პოლიტიკამ, რასაც ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტები ახორციელებენ დემოკრატიისა და სოციალიზმის ბანაკის ქვეყნების მიმართ, სავსებით ჩაიშალა. ამ პოლიტიკამ ზარალი მათ მიაყენა, ვინც მას ახორციელებს. რაც შეეხება დემოკრატიისა და სოციალიზმის ბანაკის ქვეყნებს, ბლოკადის პოლიტიკის საპასუხოდ ისინი მჭიდროდ დაირაზმნენ, მოაწყეს ეკონომიკური თანამშრომლობა და ურთიერთდახმარება, შექმნეს საკუთარი მსოფლიო ბაზარი, რომელიც უპირისპირდება მსოფლიო კაპიტალისტურ ბაზარს.

მეორე მსოფლიო ომის ყველაზე მნიშვნელოვანი ეკონომიკური შედეგია, — აღნიშნავს ამხანაგი სტალინი, — ერთიანი ყოვლისმომცველი მსოფლიო ბაზრის დაშლა და მაშასადამე მსოფლიო კაპიტალისტური სისტემის საერთო კრიზისის შემდგომი გაღრმავება.

XIX ყრილობაზე კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში ამხანაგმა მალენკოვმა მოგვცა თანამედროვე საერთაშორისო ვითარების ღრმა მარქსისტული ანალიზი, მოიყვანა დამაჯერებელი ფაქტები და ციფრები ერთი მხრივ დემოკრატიისა და სოციალიზმის ბანაკის ძალების ზრდის შესახებ და მეორე მხრივ მსოფლიო კაპიტალიზმის საერთო კრიზისის გაღრმავების შესახებ. ამჟამად მსოფლიო ეკონომიკური მდგომარეობის საერთო სურათს ახასიათებს განვითარების ორი გეზი.

„ერთი გეზია საბჭოთა კავშირში და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში მშვიდობიანი ეკონომიკის განუწყვეტელი აღმავლობის გეზი, ეკონომიკისა, რომლისთვისაც უცხოა კრიზისები და რომელიც ვითარდება საზოგადოების მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა მაქსიმალური დაკმაყოფილების უზრუნველყოფისათვის...

მეორე გეზია კაპიტალიზმის ეკონომიკის გეზი, კაპიტალიზმისა, რომლის საწარმოო ძალები ერთ ადგილს ტკეპნიან, ეკონომიკისა, რომელიც მარწუხში ჰყავს მომწყვდეული კაპიტალიზმის სულ უფრო მზარდ საერთო კრიზისს და ეკონომიკურ კრიზისებს, რაც განუწყვეტლივ მეორდება. ეს არის ეკონომიკის მილიტარიზაციის და ომისათვის მომუშავე წარმოების დარგების ცალმხრივი განვითარების გეზი, ქვეყნებს შორის კონკურენციული ბრძოლის, ერთი ქვეყნის მიერ მეორის დამონების გეზი“. (გ. მალენკოვი. საანგარიშო მოხსენება პარტიის XIX ყრილობას საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მუშაობის შესახებ).

სულ უფრო მწვავდება წინააღმდეგობანი ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ინგლისს შორის, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საფრანგეთს და ევროპის სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის. წარმოებს ამერიკელ და ინგლისელ მონოპოლისტთა აშკარა ბრძოლა ნავთის, კაუჩუკის, ფერადი ლითონების, გოგირდის წყაროებისათვის, საქონლის გასაღების ბაზრებისათვის. დასავლეთ გერმანიასა და საფრანგეთს შორის მწვავდება ბრძოლა ეგრეთწოდებულ ქვანახშირისა და ფოლადის ევროპის გაერთიანებაში ამ ქვეყნების კაპიტალისტთა კონკურენციის გამო, მწვავდება მათ შორის კონფლიქტი საარის ოლქის გამო.

ცდილობენ რა გამონახონ გამოსავალი კაპიტალიზმის საერთო კრიზისიდან, რომელიც მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ გამწვავდა, ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტები დაადგნენ ახალი მსოფლიო ომის მომზადების გზას. მათი მიზანია დაამყარონ თავიანთი ბატონობა მსოფლიოში. მაგრამ გამალებული შეიარაღება, რასაც ამერიკის შეერთებული შტატების ზეგავლენით იმპერიალისტური ბანაკი ახორციელებს, დღითიდღე სულ უფრო აძლიერებს სიძნელეებსა და წინააღმდეგობებს, რომლებიც ღრღნიან ამ ბანაკს, და გარდუვალად იწვევს ეკონომიკურ კრიზისს.

უკანასკნელ ხანს კაპიტალისტური ქვეყნების წარმოება ერთსა და იმავე ადგილს ტკეპნის. თუ 1951 წლის პირველ კვარტალს ავიღებთ ასად, დავინახავთ რომ ამერიკის შეერთებული შტატების სამრეწველო წარმოების ინდექსი კვარტალების მიხედვით შეიცვალა შემდეგნაირად: 1951 წელი: I კვარტალი—100, II კვარტალი—103, III კვარტალი—101, IV კვარტალი—101; 1952 წელი: I კვარტალი — 100, II კვარტალი — 97.

ამ ცნობებიდან ჩანს, რომ, მიაღწია რა 1951 წლის მეორე კვარტალში მაქსიმალურ დონეს, სამრეწველო წარმოების ინდექსი შემცირდა. მიმდინარე წლის I კვარტალში ეს ინდექსი იმავე დონეზე იყო, რაც გასული წლის I კვარტალში, შემდეგ კიდევ უფრო შემცირდა. ეს მოწმობს სამრეწველო წარმოების საერთო დონის შემცირების ტენდენციას, მიუხედავად იმისა, რომ გამალებული შეიარაღება მთელი გაქანებით ხორციელდება. მიზეზი ნათელია. სამოქალაქო მრეწველობა იმდენად მნიშვნელოვანი მოცულობით მცირდება, რომ სამხედრო წარმოების სწრაფი ზრდაც კი ვერ ანაზღაურებს ამ შემცირებას. ამრიგად, უკვე მკვეთრი ფორმით იჩენს თავს ამერიკის ეკონომიკის ცალმხრივი განვითარების შედეგები.

დაადგნენ რა გამალებული შეიარაღების გ ზ ა ს, ევროპის კაპიტალისტური ქვეყნებიც კვეცავენ სამოქალაქო წარმოებას, რითაც იწვევენ მოდუნებას მრეწველობაში.

სამხედრო ეკონომიკა უდიდეს სახსრებს ნთქამს. უკანასკნელ წლებში ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო ბიუჯეტი ომის ტიპიური ბიუჯეტი გახდა. მაგალითად, 1952-1953 წლების მთელი ბიუჯეტის 74 პროცენტი ხმარდება პირდაპირ სამხედრო ხარჯებს, რაც ერთისამად აღემატება სამხედრო ხარჯებს კორეაში ომის დაწყებამდე.

1949-1950 წლებში ატლანტიკის ბლოკში შემავალი დასავლეთ ევროპის ქვეყნების სამხედრო ხარჯები შეადგენდა 6,2 მილიარდ დოლარს. ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეების მოთხოვნით ეს თანხა 1952-53 წლების ბიუჯეტებში დიდდება თითქმის 16 მილიარდ დოლარამდე.

გამალებული შეიარაღება იწვევს მილიარდერებისა და მილიონერების უმაგალითო გამდიდრებას. ომისშემდგომ 7 წელიწადში ამერიკის შეერთებული შტატების მონოპოლისტების მოგება შეადგენდა თითქმის 220 მილიარდ დოლარს. ამავე დროს უმაგალითოდ მატულობს მოსახლეობის გადასახადები. როგორც პრესა იუწყებოდა, ტრუმენმა თავისი პრეზიდენტობის წლებში მეტი გადასახადი აკრიფა, ვიდრე ამერიკის შეერთებული შტატების ყველა წინანდელმა 31 პრეზიდენტმა. (**გამოცოცხლება დარბაზში**).

აგრესიული ბანაკის ყველა ქვეყანაში გამალებულმა შეიარაღებამ გააძლიერა ისედაც მნიშვნელოვანი ინფლაცია. ფულის მიმოქცევის არხები სავსეა ქაღალდის ფულით. ფულის მყიდველობითი უნარი სისტემატურად ეცემა. განუწყვეტლივ მატულობს ფართო მოხმარების საქონლის ფასები. სწრაფი ტემპით ქვეითდება ცხოვრების დონე. მშრომელი მასების მდგომარეობა დღითიდღე უარესდება. მარტო ამერიკის შეერთებულ შტატებში, იაპონიაში, ინგლისში, იტალიაში, ბელგიასა და დასავლეთ გერმანიაში მთლიანად და ნაწილობრივ უმუშევართა რაოდენობა 32 მილიონს აღწევს. ძლიერდება მუშების გაფიცვებისა და პოლიტიკური გამოსვლების ტალღა.

ახლა ბურჟუაზიულ ეკონომისტთა შორის დავა წარმოებს არა იმაზე, იქნება თუ არა ახალი ეკონომიკური კრიზისი, არამედ იმაზე, რამდენად მალე გაჩაღდება იგი. დამახასიათებელია, რომ ყოველგვარი ინსტიტუტი, რომელიც ეკონომიკის კონიუნქტურას სწავლობს, აშკარად აფრთხილებს საქმოსანთა სამყაროს, რომ საჭიროა „მოემზადონ“ გარდუვალი და მოახლოებული კრიზისისათვის.

ამასობაში კი, ცდილობენ რა მშრომელთა ყურადღება ჩამოაშორონ მათს მძიმე მდგომარეობას, ამერიკის შეერთებული შტატების მილიარდერთა უზარმაზარი პროპაგანდისტული მანქანა ხელოვნურად აღვივებს ომის ფსიქოზს. იგი ხალხს აჩვევს იმ აზრს, რომ აუცილებელია ატომური ბომბის ხმარება, დღითიდღე აშინებს არა მარტო მოზრდილებს, არამედ ბავშვებსაც, კერძოდ, აწყობს საჰაერო თავდასხმის ყალბ განგაშებს.

შედეგები თვალწინ არის. ბევრ ამერიკელს დაეკარგა სულიერი სიმშვიდე. ისინი წამდაუწუმ ცას შეჰყურებენ, და ზოგიერთ მათგანს ცაში ეჩვენება უცნაური საგნები, რომლებიც მოაგონებენ უზარმაზარ „მფრინავ თეფშებს“, „ლანგრებს“, „ტაფებს“ და „მწვანე ცეცხლის ბურთებს“. ამერიკული გაზეთები და ჟურნალები ფართოდ ბეჭდავენ ყოველგვარი „მნახველების“ ნაამბობს, რომლებსაც თურმე დაუნახავთ ეს უცნაური საგნები და ამტკიცებენ, რომ ისინი ან ...რუსული საიდუმლო ყუმბარებია, ან ყოველ შემთხვევაში — საფრენი აპარატები, რომლებიც გამოგზავნილია რომელიღაც სხვა პლანეტიდან, რათა დაკვირვება აწარმოონ, თუ რა ხდება ამერიკაში! როგორ არ გავიხსენოთ აქ რუსული ხალხური ანდაზა: „შიშს დიდი თვალები აქვს“. (**მოძრაობა დარბაზში**).

ამხანაგმა სტალინმა პარტიის XIX ყრილობაზე თავის ისტორიულ სიტყვაში თქვა, რომ კაპიტალისტურ ქვეყნებში გათელილია ადამიანთა და ერთა თანასწორუფლებიანობის პრინციპი, იგი შეცვლილია ექსპლოატატორული უმცირესობის სრულუფლებიანობისა და მოქალაქეთა ექსპლოატირებული უმრავლესობის უუფლებობის პრინციპით. პიროვნების უფლებებს ახლა მხოლოდ იმათთვის ცნობენ, ვისაც კაპიტალი აქვს, ყველა დანარჩენი მოქალაქენი კი ითვლებიან ადამიანთა ნედლ მასალად, რომელიც გამოსადეგია მხოლოდ ექსპლოატაციისათვის. ამერიკის მმართველი წრეები აშკარად დაადგნენ ფაშიზაციის გზას. ისინი მიჰყვებიან ჰიტლერის კვალს. თავიანთ ქვეყანაში ნერგავენ ტერორის სისტემას, ცდილობენ ჩაახშონ მთელი პროგრესული ძალები, კომუნისტური პარტია ფაქტიურად გამოაცხადეს კანონგარეშე, დაქირავებული ბანდების დახმარებით ფუშავენ დემოკრატიული ორგანიზაციების მიტინგებსა და კრებებს. უმაგალითო გაქანებით წარმოებს მსოფლიო ბატონობის მოსაპოვებლად ახალი იმპერიალისტური ომის პროპაგანდა და მზადება.

აიღეს რა ახალი მსოფლიო ომის გეზი, ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეები ევროპაში, აზიაში, ახლო და შუა აღმოსავლეთში აფართოებენ სამხედრო ბაზების ქსელს, ამ რაიონებში ჰყავთ თავიანთი შეიარაღებული ძალები. ისინი დაჟინებით ფუშავენ მშვიდობიან საერთაშორისო თანამშრომლობას. ამერიკელი იმპერიალისტები მთავარ იმედს ამყარებენ გერმანიის მილიტარიზმის აღორძინებაზე, რისთვისაც ცდილობენ შეინარჩუნონ გერმანიის გათიშვა და დასავლეთ გერმანიას აქცევენ თავიანთ სამხედრო პლაცდარმად. ამ მიზნით ისინი ცდილობენ ბონის შეთანხმებისა და ეგრეთწოდებული ევროპის თავდაცვითი გაერთიანების შესახებ პარიზის ხელშეკრულების რატიფიკაციას. აზიაში ისინი გამალებით აღადგენენ იაპონიის მილიტარიზმს. ამ მიზნით ამერიკის შეერთებულმა შტატებმა იაპონიას თავს მოახვიეს სეპარატული ხელშეკრულება, რომელიც სამხედრო ხელშეკრულებას წარმოადგენს და ნავარაუდევია აგრეთვე იმისათვის, რომ იაპონია ამერიკის სამხედრო პლაცდარმად გადააქციოს.

ორწლინახევრის წინათ ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტებმა სისხლისმღვრელი ომი გააჩაღეს გმირი კორეელი ხალხის წინააღმდეგ.

ამერიკის შეერთებული შტატები გახდნენ რეაქციისა და ფაშიზმის მსოფლიო ბურჯი, ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების წინააღმდეგ აგრესორთა მსოფლიო შეთქმულების ცენტრი.

უბრალო ხალხს ყველგან ტყუილად როდი სძულს ასე ამერიკის სამხედრო ხროვა, რომელიც ჟანდარმის ჩექმით თელავს ხალხთა უფლებებსა და თავისუფლებებს.

მაგრამ ომის ამერიკელი გამჩაღებლები უკუღმა ვერ დაატრიალებენ ისტორიის ჩარხს. იმპერიალიზმის წინააღმდეგ ხალხთა განმათავისუფლებელი ბრძოლა მთელი ძალით ჩაღდება ყველა ქვეყანაში.

ახლა ამერიკის კაპიტალის მსოფლიო ბატონობის ყველაზე თავხედი მქადაგებლებიც კი, როგორიც არის დალესი, რომლებიც შეშფოთებული არიან ხალხთა განმათავისუფლებელი მზარდი მოძრაობით, იძულებული არიან საჯაროდ აღიარონ ევროპისა და აზიის ქვეყნებში ამერიკის საწინააღმდეგო განწყობილების ზრდა.

ამერიკელი იმპერიალისტების მიერ შეკოწიწებულ ატლანტიკის აგრესიულ სამხედრო ბლოკს სულ უფრო ღრღნის ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ინგლისს შორის, აგრეთვე ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საფრანგეთს და ევროპის სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის არსებული შინაგანი წინააღმდეგობანი.

ევროპის კაპიტალისტური ქვეყნების მმართველი წრეები ხალხის მასების და ეკონომიკური სიძნელეების ზეგავლენით იძულებული არიან სულ უფრო ხშირად გამოთქვან უკმაყოფილება ამერიკის აშკარა დიქტატის პოლიტიკის გამო.

ამას წინათ ამერიკის გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი“ წერდა, რომ დასავლეთ ევროპის მთავრობებს „საშინლად მობეზრდათ ის, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებზე დამოკიდებულად გრძნობდნენ თავს“. შემდეგ გაზეთი აღიარებს, რომ ამერიკელთა შემდგომი ეკონომიკური „დახმარება“ კი არ გააუმჯობესებს, არამედ გააუარესებს მდგომარეობას ევროპაში.

საქმე ისე მიდის, რომ ინგლისი, საფრანგეთი და სხვა კაპიტალისტური ქვეყნები დაუსრულებლად კი აღარ მოითმენენ ამერიკის შეერთებული შტატების ბატონობასა და უღელს, არამედ ადრე თუ გვიან შეეცდებიან თავი დააღწიონ ამერიკელთა მონობას და დამოუკიდებელი განვითარების გზას დაადგნენ.

ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ იმპერიალიზმი შეარყია არა მარტო მისი ბატონობის ცენტრებში, არამედ დაარტყა აგრეთვე მის ზურგს, მის პერიფერიას. მან ძირი გამოუთხარა იმპერიალიზმის ბატონობას კოლონიებსა და დამოკიდებულ ქვეყნებში.

მეორე მსოფლიო ომის შედეგად ირღვევა იმპერიალიზმის კოლონიური სისტემა. ამაში უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა აგრეთვე ჩინელი ხალხის ისტორიულმა გამარჯვებამ.

იმპერიალისტების იმ ცდების ჩაფუშვას, რომ ჩაახშოთ ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, მკაფიოდ მოწმობს ამერიკის შეერთებული შტატების დამარცხებას კორეელი ხალხის წინააღმდეგ ომში. მიუხედავად კორეის ქალაქების ბარბაროსული დაბომბვისა, ბაქტერიოლოგიური იარაღის, რეაქტიული თვითმფრინავების და თანამედროვე საჭურვლის გამოყენებისა ამერიკა-ინგლისის ჯარებს არ ძალუძთ ჩაახშონ კორეელი ხალხის წინააღმდეგობა. კორეელი ხალხი, ჩინელ სახალხო მოხალისეთა ძმური დახმარებით, კორეელი ხალხის ბელადის კიმ ირ სენის ხელმძღვანელობით მამაცურად და მედგრად იცავს თავის დამოუკიდებლობასა და თავისუფლებას.

ხალხები სამარცხვინო ბოძზე აკრავენ ამერიკელ აგრესორებს. ხალხებს არა სურთ ომი, ისინი მშვიდობას მოითხოვენ და აძლიერებენ თავიანთ წინააღმდეგობას ომის გამჩაღებლებისადმი.

ძნელია გადაჭარბებით შევაფასოთ მშვიდობისათვის ბრძოლაში ხალხთა ძალების იმ მძლავრი დემონსტრაციის მნიშვნელობა, როგორიც არის აზიისა და წყნარი ოკეანის ხალხების მშვიდობის მომხრეთა ამასწინანდელი კონგრესი. 37 ქვეყნის წარმომადგენლებმა, ქვეყნებისა, რომელთა მოსახლეობა 1.600 მილიონ კაცს შეადგენს, მტკიცედ განაცხადეს, რომ ომის გამჩაღებელთა ხრიკებს მომავალში კიდევ უფრო გადამწყვეტ წინააღმდეგობას გაუწევენ. მშვიდობის მომხრეთა ძალები იზრდება, ყველა ქვეყნის ხალხთა მეგობრობა მტკიცდება. ომის იმპერიალისტ გამჩაღებელთა ზურგში სულ უფრო ხშირად და ხმამაღლა გაისმის უბრალო ხალხის ხმა: „ჩვენ არასოდეს არ ვიომებთ სოციალიზმის ქვეყნის ხალხთა წინააღმდეგ“.

მშვიდობისათვის ბრძოლაში სულ უფრო მტკიცდება საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების ხალხთა ურღვევი მეგობრობა.

იზრდება და მტკიცდება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის დიადი მეგობრობა, რომელიც შორეულ აღმოსავლეთსა და მთელ მსოფლიოში მტკიცე მშვიდობის საწინდარია.

ჩვენი დიადი სამშობლო მშვიდობის ურყევი ბასტიონია. საბჭოთა ხალხს არა სურს ომი. ეს მთელმა მსოფლიომ იცის. ჩვენი სახელმწიფოს მთელი მოღვაწეობა მიმდინარეობს მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომის სტალინური პოლიტიკის ნიშნით, ხალხთა მეგობრობის ნიშნით. საბჭოთა კავშირის ინტერესები, — აღნიშნავს ამხანაგი სტალინი, — განუყოფელია მთელ მსოფლიოში მშვიდობის საქმისაგან.

საბჭოთა მთავრობის მშვიდობისმოყვარული სტალინური საგარეო პოლიტიკა იმას ემყარება, რომ კაპიტალიზმისა და კომუნიზმის მშვიდობიანი თანაარსებობა და თანამშრომლობა სავსებით შესაძლებელია. ამისათვის საჭიროა მხოლოდ ორივე მხარეს სურდეს თანამშრომლობა,

(დასასრული მე-4 გვერდზე)

# დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 35-ე წლისთავი

## ამხ. მ. გ. პერვუხინის მოხსენება მოსკოვის საბჭოს საზეიმო სხდომაზე 1952 წლის 6 ნოემბერს

(დ ა ს ა ს რ უ ლ ი)

მზად იყოს ზუსტად შეასრულოს ნაკისრი ვალდებულებანი, დაიცვას თანასწორუფლებიანობისა და სხვა სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპი.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მორიგ სესიაზე, რომელიც ოქტომბერში გაიხსნა, სსრ კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების დელეგატები, ისევე როგორც ყოველთვის, თანმიმდევრულად ამხილებენ ამერიკის შეერთებული შტატების მესვეურთა დიქტატორულ აგრესიულ პოლიტიკას. საბჭოთა წარმომადგენლები კვლავ იცავენ მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების ნამდვილი განმტკიცების კონკრეტულ პროგრამას.

მხოლოდ მთლად სულელებს შეუძლიათ იფიქრონ, რომ საბჭოთა მთავრობის სამშვიდობო პოლიტიკა გამოწვეულია ჩვენი სახელმწიფოს სისუსტით. საბჭოთა ხალხი მშიშარა როდია, მას ომის არ ეშინია. საბჭოთა სახელმწიფოს უძლეველი ძალა არაერთხელ დადასტურდა როგორც ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკის წინააღმდეგ კაპიტალისტური სახელმწიფოების ინტერვენციის წლებში, ისე მეორე მსოფლიო ომის წლებშიც. ახლა, როცა საბჭოთა კავშირი მარტო არ არის, როცა იგი სათავეში უდგას დემოკრატიისა და სოციალიზმის ბანაკს, მისი ძალა და ძლიერება განუზომლად გაიზარდა.

დიდი რუსი მწერალი ალექსი მაქსიმეს-ძე გორკი წერდა, რომ თუ გარდუვალი მომავლის წინაშე შიშით საბოლოოდ გაგიჟებული კაპიტალისტები თავიანთ ურდოებს დაძრავენ ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ, „საჭიროა მათ სიტყვითა და საქმით ისე დავარტყათ უგუნურ თავებში, რომ ეს დარტყმა უკანასკნელი იყოს კაპიტალისათვის და ჩააგდოს იგი სამარეში, რომელიც სავსებით დროულად გაუთხარა მას ისტორიამ“. ასეც მოხდება, თუ აგრესორები გაბედავენ ჩვენს ქვეყანაზე თავდასხმას. **(მქუხარე ტაში).**

* * *

ამხანაგებო! უკვდავი ლენინი მიგვითითებდა, რომ კომუნიზმი ყველგან ჩნდება. ბურჟუაზიულ მთავრობათა ვერავითარი ღონისძიება, თანამედროვეობის მოწინავე ადამიანებისადმი ძალადობის ვერავითარი ფაშისტური მეთოდი ვერ შეაჩერებს კომუნიზმის იდეების გავრცელებას მთელი მსოფლიოს მშრომელთა ფართო მასებში. არ არსებობს ისეთი ძალა, რომელიც უკან დაატრიალებს ისტორიის ჩარხს, შეაჩერებს კომუნიზმისაკენ საზოგადოებრივი წინსვლის პროცესს.

საბჭოთა კავშირის სოციალისტური მეურნეობისა და კულტურის განვითარებაში განვლილ წელს მიღწეული ახალი წარმატებანი, სოციალიზმის გზით სახალხო დემოკრატიის ქვეყნების განვითარების წარმატებანი, მშვიდობისა და სოციალიზმის ბანაკის შემდგომი განმტკიცება თვალსაჩინოდ ადასტურებენ ლენინ-სტალინის მოძღვრების დიდ სიმართლეს და ყოვლისშემძლე ძალას.

კომუნიზმის გზით ჩვენს წინსვლაში წამყვანი და მაორგანიზებელი ძალაა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, მებრძოლი კავშირი თანამოაზრე კომუნისტებისა, რომლებიც იბრძვიან ადამიანთა საზოგადოების გარდაქმნისათვის მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიის საფუძველზე.

პარტიის XIX ყრილობაზე წარმოთქმულ სიტყვაში ამხანაგმა სტალინმა თქვა:

„მას შემდეგ, რაც ჩვენმა პარტიამ 1917 წელს ხელში აიღო ძალაუფლება, და მას შემდეგ, რაც პარტიამ განახორციელა რეალური ღონისძიებანი კაპიტალისტთა და მემამულეთა უღლის ლიკვიდაციისათვის, მოძმე პარტიების წარმომადგენლებმა, რომლებიც აღტაცებული იყვნენ ჩვენი პარტიის სიმამაცითა და წარმატებებით, მსოფლიო რევოლუციური და მუშათა მოძრაობის „დამკვრელი ბრიგადა“ უწოდეს მას. ამით ისინი იმედს გამოთქვამდნენ, რომ „დამკვრელი ბრიგადის“ წარმატებები მდგომარეობას შეუმსუბუქებდა კაპიტალიზმის უღელქვეშ მგმინავ ხალხებს. მე ვფიქრობ, — ამბობდა ამხანაგი სტალინი, — რომ ჩვენმა პარტიამ გაამართლა ეს იმედები, განსაკუთრებით მეორე მსოფლიო ომის პერიოდში, როცა საბჭოთა კავშირმა გერმანიისა და იაპონიის ფაშისტური ტირანია გაანადგურა და ევროპისა და აზიის ხალხები იხსნა ფაშისტური მონობის საფრთხისაგან“.

ვაჯამებთ რა განვლილი წლების შედეგებს, ჩვენ ვხედავთ, რომ ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების გზა იოლი როდი იყო. ჩვენს გზაზე ბევრი სიძნელე გვხვდებოდა. მაგრამ ჩვენი პარტია მუდამ მზად იყო ბრძოლისათვის და წარმატებით სძლევდა ყველა სიძნელესა და დაბრკოლებას.

ახლა ყველასათვის ცხადია, რომ ჩვენს ქვეყანაში საბჭოთა ხელისუფლება 35 წელს კი არა, 35 დღესაც ვერ იარსებებდა, რომ არ ყოფილიყო ლენინ—სტალინის გმირი პარტია, რომელიც მჭიდროდ დაკავშირებულია ხალხთან და მისი უსაზღვრო ნდობით სარგებლობს.

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხმა თავისი სახელმწიფო ძლიერი და უძლეველი გახადა. ეს პარტიისა და ხალხის ბელადის ამხანაგ სტალინის უდიდესი ისტორიული დამსახურებაა. **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).** ამხანაგი სტალინი დიდი ლენინის გარდაცვალების შემდეგ მეოთხედ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში მტკიცედ მიუძღვის ჩვენს პარტიასა და საბჭოთა ხალხს, უკაფავს მათ ახალი კომუნისტური ცხოვრების მშენებლობის გზებს. აი რატომ არის ასე უსაზღვრო ჩვენი ქვეყნისა და მთელი მსოფლიოს მშრომელთა ნდობა სტალინის ბრძნული ხელმძღვანელობისადმი, ასე ძლიერი მათი რწმენა კომუნისტური პარტიის პოლიტიკისადმი, სტალინის გენიისადმი. აი რატომ არის ასე დიდი საბჭოთა ხალხისა და მთელი მსოფლიოს მშრომელთა სიყვარული ამხანაგ სტალინისადმი. **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

გაუმარჯოს დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციას, რომლითაც ახალი ეპოქა დაიწყო კაცობრიობის ცხოვრებაში!

გაუმარჯოს მძლავრ საბჭოთა კავშირს — მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის ურყევ ბურჯს!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, ლენინ — სტალინის პარტიას!

მრავალ წელს სიცოცხლე ჩვენს ძვირფას მასწავლებელსა და ბელადს დიდ სტალინს! **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში, რომელიც ოვაციად იქცევა. ყველანი ფეხზე დგებიან).**

ლენინ — სტალინის დროშით წინ—კომუნიზმისაკენ! **(მოხსენების ბოლო სიტყვებს შეკრებილნი ხვდებიან მხურვალე ოვაციით ბრძენი ბელადისა და მასწავლებლის, საბჭოთა ხალხის ისტორიულ გამარჯვებათა ორგანიზატორისა და სულისჩამდგმელის, მთელი პროგრესული კაცობრიობის გენიოსის დიდი სტალინის პატივსაცემად).**

# საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის X პლენუმი

ამ დღეებში გაიმართა საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მორიგი X პლენუმი.

პლენუმმა განიხილა საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხ. ა. ნ. შელეპინის მოხსენება „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით კომკავშირული ორგანიზაციების ამოცანების შესახებ“ და მიიღო სათანადო დადგენილება.

პლენუმმა აგრეთვე განიხილა ორგანიზაციული საკითხი. იმასთან დაკავშირებით, რომ ამხ. ნ. ა. მიხაილოვი არჩეულია საბჭოთა კავშირის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნოში, პლენუმმა გაათავისუფლა იგი საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის მოვალეობისაგან.

საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად არჩეულია ამხ. ა. ნ. შელეპინი.

პლენუმის მონაწილეებმა უდიდესი აღფრთოვანებით მიიღეს მისასალმებელი წერილი ამხანაგ ი. ბ. სტალინისადმი.

* * *

პლენუმმა აღნიშნა, რომ საბჭოთა ახალგაზრდობა, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის გადაწყვეტილებებს, ამხანაგ სტალინის ისტორიულ სიტყვას ყრილობაზე. კომკავშირს, საბჭოთა ახალგაზრდობას ყრილობის გადაწყვეტილებანი, ამხანაგ სტალინის მითითებანი მიაჩნიათ ბრძოლისა და გამარჯვებათა დიად პროგრამად, მოქმედების სახელმძღვანელოდ.

საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა კომკავშირის ყველა ორგანიზაციას წინადადება მისცა თავიანთ მუშაობას საფუძვლად დაუდონ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებანი.

კომკავშირულმა ორგანიზაციებმა კიდევ უფრო მჭიდროდ უნდა დარაზმონ საბჭოთა ახალგაზრდობა კომუნისტური პარტიის, ამხანაგ სტალინის გარშემო, დარაზმონ ახალგაზრდობის ძალები ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის აშენებისათვის საბრძოლველად.

თვითეული კომკავშირული ორგანიზაციის ღირსების საქმეა, ნათქვამია პლენუმის გადაწყვეტილებაში, აქტიური ბრძოლა ახალგაზრდობის ძალების მობილიზაციისათვის სსრ კავშირის განვითარების 1951-1955 წლების მეხუთე ხუთწლიანი გეგმის ამოცანების განსახორციელებლად. კომკავშირული ორგანიზაციები მოწოდებული არიან კიდევ უფრო ფართოდ ჩააბან ახალგაზრდობა სოციალისტურ შეჯიბრებაში, გამოიჩინონ შემოქმედებითი ინიციატივა მრეწველობისა და ტრანსპორტის თვითეული საწარმოს, მშენებლობის, კოლმეურნეობის, მტს-ის, საბჭოთა მეურნეობის მიერ გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის ბრძოლაში.

პლენუმმა ურჩია კომკავშირულ ორგანიზაციებს პარტიის XIX ყრილობის გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით მათ წინაშე დასახული ამოცანები განიხილონ კომკავშირულ კრებებზე პირველადს ორგანიზაციებში და კომკავშირული აქტივის კრებებზე ქალაქებსა და რაიონებში; მოაწყონ კომკავშირულ წრეებსა და პოლიტსკოლებში ყრილობის გადაწყვეტილებათა, ყრილობაზე ამხანაგ სტალინის სიტყვის გულდასმით შესწავლა; უზრუნველყონ პარტიის ყრილობის გადაწყვეტილებათა, ამხანაგ სტალინის ნაწარმოების „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ და ყრილობაზე ამხანაგ სტალინის სიტყვის ფართო პროპაგანდა ლექციებითა და მოხსენებებით, კომკავშირული გაზეთებისა და ჟურნალების ფურცლებზე.

საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, საბჭოთა ხალხის ბელადსა და მასწავლებელს, მშობლიურ და საყვარელ ამხანაგ სტალინს აღუთქვა, რომ კომკავშირელები, საბჭოთა ახალგაზრდობა მთელ ძალღონეს, ცოდნას, ენერგიას მოახმარენ ბრძოლას პარტიის XIX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის გამარჯვებისათვის, ლენინ—სტალინის დიადი საქმის გამარჯვებისათვის.

# მოსკოვს ჩამოვიდნენ უცხოეთის პროფკავშირთა და მუშათა დელეგაციები

საკავშირო პროფსაბჭოს მოწვევით დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 35-ე წლისთავის დღესასწაულზე მოსკოვს ჩამოვიდნენ უცხოეთის პროფკავშირთა და მუშათა დელეგაციები:

სრულიად ჩინეთის პროფკავშირთა ფედერაციის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს აღმოსავლეთ ჩინეთის პროფკავშირთა საბჭოს და ქალაქ შანხაის პროფკავშირთა საბჭოს თავმჯდომარე ლიუ ჯან-შეი;

ფინეთის მუშათა დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს ფინეთის საფეიქრო მრეწველობის მუშათა პროფკავშირის მეორე მდივანი არვო ემილ ვალინი;

ჩეხოსლოვაკიის პროფკავშირთა დელეგაცია ჩეხოსლოვაკიის პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს მდივნის იაროსლავ კოლარჟის მეთაურობით;

პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს ფედერაციის გენერალური მდივანი ლუი საიანი;

რუმინეთის პროფკავშირთა დელეგაცია რუმინეთის შრომის საყოველთაო კონფედერაციის ვიცე-თავმჯდომარის ლუბა კიშინიოვსკაიას მეთაურობით. (საკდესი).

„კომუნისტის“ შემდეგი ნომერი გამოვა 11 ნოემბერს.

# გუშინ ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში

დიდი ოქტომბრის დღესასწაულის დღეებში საბჭოთა ადამიანები გონების თვალით გადახედავენ განვლილ გზას, აჯამებენ წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის შედეგებს. მეხუთე სტალინური ხუთწლედის მეორე წელს მოპოვებულია ახალი დიდი წარმატებანი, გადადგმულია დიდი ნაბიჯი წინ კომუნიზმის მშენებლობის გზაზე. მწყობრში ჩადგა კომუნიზმის დიად მშენებლობათა პირმშო — ლენინის სახელობის ვოლგა-დონის სანაოსნო არხი. გაცხოველებული ტემპით მიმდინარეობს მსოფლიოში უდიდესი ჰიდროელექტროსადგურებისა და სარწყავი არხების მშენებლობა. უდიდესი მიღწევები იქნა მოპოვებული მეცნიერებისა და კულტურის ფრონტზე.

ოქტომბრის 35-ე წლისთავს საბჭოთა ხალხი აღნიშნავს უდიდეს პოლიტიკურ და საწარმოო ვითარებაში, რაც გამოწვეულია ამხანაგ სტალინის ისტორიული სიტყვით, პარტიის XIX ყრილობის გადაწყვეტილებებით, დიდი ბელადის გენიალური ნაწარმოებით „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“.

დიდი ოქტომბრის დღესასწაულის წინა დღეს თბილისი საზეიმოდ მოირთო. კიდევ უფრო ლამაზი და ხალისიანია ამ დღეებში ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქი. მრავალსართულიან შენობათა ფასადებზე და ახალმშენებლობათა ხარაჩოებზე ფრიალებენ წითელი დროშები და ალმები. ალისფერ არშიებზე წარწერილია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საოქტომბრო მოწოდებანი. შენობებზე მოჩანს რევოლუციის დიდი ბელადების, საბჭოთა სახელმწიფოს ფუძემდებლების ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის პორტრეტები, პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა პორტრეტები.

ელექტროშუქით არის გაჩირაღდნებული ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი. გუშინ საღამოს აქ თავი მოიყარეს დედაქალაქის საუკეთესო ადამიანებმა: საწარმოთა მოწინავე სტახანოველებმა და ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების წარმომადგენლებმა, საბჭოთა არმიის მეომრებმა და ოფიცრებმა.

სცენის ზემოთ ელვარებს საყოველთაო-სახალხო მისალმების სიტყვები: „დიდება დიდ სტალინს“. სცენის სიღრმეში მოჩანს ვ. ი. ლენინის და ი. ბ. სტალინის დიდი პორტრეტი, შემკული წითელი დროშებითა და ცოცხალი ყვავილებით.

საღამოს 7 საათია. პრეზიდიუმის მაგიდასთან არიან ამხანაგები ა. მგელაძე, ზ. კეცხოველი, ზ. ჩხუბიანიშვილი, ა. ანტონოვი, ვ. ცხოვრებაშვილი, ვ. ბაქრაძე, ვ. ბუჯიაშვილი, ა. კოჭლავაშვილი, ი. კოჭლამაზაშვილი, ქ. ბუჯიაშვილი, გ. ჯაბუა, ქ. ციმაკურიძე, ვ. ბალავაძე, გ. ჯავახიშვილი, რ. კანდელაკი, ვ. ეგნატაშვილი, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების გამოჩენილი მოღვაწეები, საბჭოთა არმიის გენერლები და ოფიცრები.

თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს საზეიმო სხდომა დედაქალაქის პარტიული, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და საბჭოთა არმიის წარმომადგენლებთან ერთად, მიძღვნილი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXXV წლისთავისადმი, გახსნა ამხ. გ. ჯავახიშვილმა.

ორკესტრი ასრულებს საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნს.

სიტყვა მოხსენებისათვის დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXXV წლისთავის შესახებ ეძლევა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანს ამხ. ვ. ბუჯიაშვილს.

— საბჭოთა ხალხი უდიდესი პატრიოტული აღმავლობით ეგებება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXXV წლისთავს. ამხანაგ სტალინის გენიალური ნაწარმოებებით, პარტიის XIX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით შეიარაღებული საბჭოთა ადამიანები თავდადებით მუშაობენ მეხუთე ხუთწლიანი გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის, ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის წარმატებით აშენებისათვის.

ამხ. ვ. ბუჯიაშვილი ლაპარაკობს იმ დიდ მიღწევებზე, რომლებიც საბჭოთა ხალხმა მოიპოვა კომუნისტური პარტიის, ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით.

მომხსენებელი აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირის ხალხთა ძმურ ოჯახში, მოძმე რუსი ხალხის დახმარებით, მშობლიური სტალინის ყოველდღიური ხელმძღვანელობისა და მზრუნველობის მეოხებით აყვავდა და გაიფურჩქნა საბჭოთა საქართველოს სახალხო მეურნეობა და კულტურა. ქართველ ხალხს ღირსეული წვლილი შეაქვს კომუნიზმის დიად მშენებლობაში.

— ეს წარმატებანი გაცილებით მეტი იქნებოდა, — ამბობს ამხ. ვ. ბუჯიაშვილი, — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოფილ ხელმძღვანელობაში გამეფებული რომ არ ყოფილიყო მუშაობის მანკიერი სტილი, რაც ხელს უშლიდა და დიდ ზიანს აყენებდა პარტიისა და ხალხის საქმეს. საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ახალმა ხელმძღვანელობამ სერიოზული მუშაობა გასწია მანკიერი სტილით მუშაობის შედეგების ლიკვიდაციისათვის.

ამხ. ბუჯიაშვილი ლაპარაკობს ახალ სტალინურ ხუთწლედში ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისა და კულტურის შემდგომ აღმავლობაზე, საბჭოთა საქართველოს მშრომელთა ამოცანებზე მეხუთე ხუთწლიანი გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის ბრძოლაში.

მომხსენებელი გამარჯვებასა და დღეგრძელობას უსურვებს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, მოძმე კომუნისტურ და მუშათა პარტიებს, ხალხთა ბრძენ ბელადსა და მასწავლებელს დიდ სტალინს. ამ სიტყვებს საზეიმო სხდომის მონაწილენი მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით ხვდებიან. ყველანი ფეხზე დგებიან. დიდხანს არ ცხრება ტაში ამხანაგ სტალინის პატივსაცემად.

საზეიმო სხდომამ უდიდესი აღფრთოვანებით მიიღო მისალმება დიდი სტალინისადმი. ორკესტრი ასრულებს საქართველოს სსრ სახელმწიფო ჰიმნს.

* * *

საზეიმო სხდომის შემდეგ გაიმართა დიდი კონცერტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს თბილისის საუკეთესო არტისტულმა ძალებმა.

# ქართულ ენაზე გამოვიდა ი. ბ. სტალინის შრომა „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“

საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობამ ქართულ ენაზე ცალკე ბროშურად გამოუშვა ამხანაგ ი. ბ. სტალინის შრომა „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“.

ბროშურის ტირაჟია 100 ათასი ცალი. (საქდესი).

# ქართულ ენაზე გამოიცა ი. ბ. სტალინის სიტყვა პარტიის XIX ყრილობაზე

საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობამ ქართულ ენაზე ცალკე ბროშურად გამოუშვა ამხანაგ ი. ბ. სტალინის სიტყვა პარტიის XIX ყრილობაზე.

ბროშურა გამოიცა 200 ათას ცალად. (საქდესი).

# ქართულ ენაზე გამოიცა ბროშურა „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წესდება“

საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობამ ქართულ ენაზე ბროშურად გამოუშვა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წესდება, რომელიც მიიღო პარტიის XIX ყრილობამ.

ბროშურა გამოიცა 200 ათას ცალად. (საქდესი).

# აფხაზეთის კოლმეურნეობებმა შეასრულეს სახელმწიფოსათვის თამბაქოს ჩაბარების წლიური გეგმა

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელზე გამოგზავნილი დეპეშით პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანი ამხ. **გეთია** და აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. **დელბა** იტყობინებიან, რომ აფხაზეთის მეთამბაქოობის კოლმეურნეობებმა 6 ნოემბერს შეასრულეს სახელმწიფოსათვის თამბაქოს ნედლეულის ჩაბარების წლიური გეგმა. გეგმით გათვალისწინებული 7.120 ტონის ნაცვლად ჩაბარებულია 7.176 ტონა, ანუ გეგმის 100,8 პროცენტი. ჩაბარებული თამბაქოს საერთო რაოდენობიდან უმაღლესი ხარისხის თამბაქო შეადგენს 930 ტონას, ანუ გეგმის 119,2 პროცენტს.

აფხაზეთის მეთამბაქოობის კოლმეურნეობებმა ვალდებულება იკისრეს გეგმის გადამეტებით ჩააბარონ სახელმწიფოს 600 ტონა თამბაქოს ნედლეული.

# კორეის ამბები

## სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

**ფხენიანი,** 5 ნოემბერი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობამ 5 ნოემბერს გამოაქვეყნა ცნობა:

გუშინ კორეის სახალხო არმიის შენაერთები და ჩინელ სახალხო მოხალისეთა ნაწილები ცენტრალურ ფრონტზე გააფთრებულ ბრძოლებს ეწეოდნენ ამერიკელ-ინგლისელი ინტერვენტებისა და ლისინმანელთა ჯარების წინააღმდეგ.

კიმხვის რაიონში მოწინააღმდეგის დაახლოებით ორმა ბატალიონმა ბევრი თვითმფრინავისა და ტანკის დახმარებით არაერთხელ მიიტანა გააფთრებული იერიში. სახალხო არმიის ნაწილებმა მოწინააღმდეგის ყველა იერიში მოიგერიეს.

დღეს სახალხო არმიის საზენიტო ნაწილებმა და თვითმფრინავების გამანადგურებელმა მსროლელებმა ჩამოაგდეს მტრის 2 და დააზიანეს 4 თვითმფრინავი.

# ამერიკის შეერთებულ შტატებში არჩევნების წინასწარი შედეგები

**ნიუ-იორკი,** 5 ნოემბერი. (საკდესი). გუშინ ამერიკის შეერთებულ შტატებში მიმდინარეობდა პრეზიდენტის, ვიცე-პრეზიდენტის, წარმომადგენელთა პალატის 435 წევრის, 35 სენატორისა და 29 შტატის გუბერნატორების არჩევნები. როგორც ცნობილია, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის არჩევნები ორსაფეხურიანია. გუშინ ამომრჩევლებმა ხმა მისცეს ცალკეული პარტიების მიერ დასახელებულ ამრჩევლებს, რომლებიც პრეზიდენტს აირჩევენ დეკემბერში.

ასოშიეიტედ პრესის სააგენტო იუწყება, რომ 121.259 საარჩევნო უბნიდან (სულ 146.361 უბანია) მიღებული წინასწარი ცნობებით, რესპუბლიკური პარტიის მიერ დასახელებულ ამრჩევლებს—გენერალ ეიზენჰაუერის მომხრეებს ხმა მისცა 29.124.000 კაცმა. დემოკრატიული პარტიის მიერ დასახელებულმა ამრჩევლებმა, რომელთა პრეზიდენტობის კანდიდატი სტივენსონია, მიიღეს 23.470.798 ხმა.

არჩევნებში მიცემული ხმების დათვლის შემდეგ პრეზიდენტობის კანდიდატმა დემოკრატიული პარტიისაგან სტივენსონმა არჩევნებში თავი დამარცხებულად ცნო.

წარმომადგენელთა პალატის 435 ადგილიდან დემოკრატიული პარტიის კანდიდატებმა, ჯერჯერობით მიიღეს 194 ადგილი, ხოლო რესპუბლიკური პარტიის კანდიდატებმა—208 ადგილი; ხმების დათვლა, რომლებიც განსაზღვრავენ პალატის დანარჩენი 33 ადგილის ბედს, ჯერ დამთავრებული არ არის. სენატის 35 ადგილიდან დემოკრატებმა ჯერჯერობით მიიღეს 10 ადგილი, ხოლო რესპუბლიკელებმა — 20 ადგილი.

# რიჯუეი იკვლევს თურქეთ-ბულგარეთის საზღვრის რაიონს

**სტამბოლი,** 5 ნოემბერი. (საკდესი). როგორც თურქეთის პრესა იუწყება, გუშინ ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი ევროპაში ამერიკელი გენერალი რიჯუეი იკვლევდა თურქეთ-ბულგარეთის საზღვრის რაიონს, აგრეთვე ამოწმებდა თურქეთის ჯარის ნაწილებსა და სიმაგრეებს თრაკიაში.

# კომუნისტების დაპატიმრება იაპონიაში

**შანხაი,** 5 ნოემბერი. (საკდესი). ტოკიოს რადიოს ცნობით, დღეს იაპონიის პოლიციამ 40 პუნქტში, მათ შორის ოტარუში, იუბარიში, ივამიძავაში, მუროგანში, კუსიროში, ხაკოდატეში და ხოკაიდოს სხვა რაიონებში მოახდინა კომპარტიის წევრთა ბინების ჩხრეკა და დააპატიმრა 100 კაცი, რომლებსაც ბრალად დასდო „ძირგამომთხრელი საქმიანობის თავიდან აცილების შესახებ“ ფაშისტური კანონის დარღვევა.

# ქ რ ო ნ ი კ ა

რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა გაათავისუფლა ამხ. ბ. ნ. ჩერნოუსოვი რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობისაგან.

* * *

რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ დანიშნა ამხ. ალექსანდრე მიხეილის-ძე პუზანოვი.

# თ ე ა ტ რ ე ბ შ ი

## 7 ნოემბერს

**ოპერისა და ბალეტის** — წითელი ყაყაჩო; **რუსთაველის სახელობის** — დიადი მომავლისათვის; **მარჯანიშვილის სახელობის** — მისი ვარსკვლავი; **გრიბოედოვის სახელობის** — ოპტიმისტური ტრაგედია (პრემიერა. აბონემენტი 25, 26); **სომხური დრამის** — ალანის ოჯახი (პრემიერა); **მუსიკალური კომედიის** — ტრემბიტა; **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — ლადო კეცხოველი (აბონემენტი 26, 6 ს.); **სანიტარული კულტურის** — მცდარ გზაზე.

## 8 ნოემბერს

**ოპერისა და ბალეტის** — სევილიელი დალაქი (12 ს.), დაისი (8 ს.); **რუსთაველის სახელობის** — დიადი მომავლისათვის (12 ს.), რვალი (8 ს.); **მარჯანიშვილის სახელობის** — მარინე (12 ს.), დაბრუნება (8 ს.); **გრიბოედოვის სახელობის** — ოპტიმისტური ტრაგედია (აბონემენტი 35, 36, 12 ს. და 8 ს.); **სომხური დრამის** — ალანის ოჯახი (8 ს.); **მუსიკალური კომედიის** — შურისმაძიებელი (12 და 8 ს.); **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — ლადო კეცხოველი (აბონემენტი 51, 12 ს.); უკანასკნელი ორიანი (აბონემენტი 16, 6 ს.); **მოზარდ მაყურებელთა რუსული** — წინ, უშიშარნო! (10 და 2 ს.); **სანიტარული კულტურის** — ერთი ოჯახის ისტორია (8 ს.).

## 9 ნოემბერს

**ოპერისა და ბალეტის** — ქეთო და კოტე (12 ს.), ლაურენსია (8 ს.); **რუსთაველის სახელობის** — რვალი (12 ს.), ოთარაანთ ქვრივი (8 ს.); **მარჯანიშვილის სახელობის** — რაც გინახავს, ველარ ნახავ (12 ს.), ვარდი ასფურცლოვანი (8 ს.); **გრიბოედოვის სახელობის** — მშვენიერ სიცრუეთა დღე (დილა-საღამოს); **სომხური დრამის** — ალანის ოჯახი (12 ს.), კლდე (8 ს.); **მუსიკალური კომედიის** — კონცერტი (12 ს.), ერთხელ გაზაფხულზე (8 ს.); **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — უკანასკნელი ორიანი (აბონემენტი 21, 12 ს.), ჩვენი ადამიანები (აბონემენტი 34, 6 ს.).

რედაქტორის მოადგილე
ი. ნატროშვილი.

რედაქციის, გამომცემლობისა და სტამბის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14, ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3-08-67, სამდივნოსი—3-06-88, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების—3-81-84, პროპაგანდის—3-57-61, მრეწველობის—3-81-84, სოფლის მეურნეობის—3-57-61, საბჭოთა მშენებლობის, ადგილობრივი ინფორმაციისა და უცხოეთის ინფორმაციის—3-80-83, კულტურისა და ყოფაცხოვრების, კორესპონდენტთა ქსელის, საქმეთა მმართველობის—3-80-84, მშრომელთა წერილების—3-73-24, განცხადებების — 3-51-81, გამომშვების—3-81-65, გამომცემლობის დირექტორის—3-65-41, სტამბის დირექტორის — 3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 16401